# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 ივლისი ოთხშაბათი 2012 №162 (13768) ფასი 80 თეთრი


ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა **16** დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უსიამოვნებანი დინამოში

## კიდევ კარგი, რომ ფეხბურთელიც გულადია

# რომან, რენომე?

კლუბის რეპუტაცია გრიშიკაშვილის ოპერაციაზე ქვირად უნდა ფასობდეს...

3



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



2

## ქუთაისელებო, ააყირავეთ აქტობე!

დღეს ტორპედო ყაზახეთში მიფრინავს, ხვალ საპასუხო მატჩია...

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ევროპისკენ პერი, პერი!

ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა

14





ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# უნდათ ახლა ამათ რუსეთში?







ოფიციალური კანდიდატები: ლიპი, პეპი, კაპელო და ა.შ.

5

LFP

## პირველი კლასიკო 7 ოქტომბერს

ესპანეთის ჩემპიონატის კალენდარი

10

## ქართული ფეხბურთი

ევროპის ლიგა. საპასუხო მატჩის წინ




ააყირავებს ტორპედო აქტობეს?

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ტორპედო ყაზახეთში მიფრინავს

## ქუთაისელებს კუხიანიძე დააკლდებათ

ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისში "ტორპედო" ყაზახურ "აქტობესთან" პირველ შეხვედრაში მხოლოდ 1:1-ს დასჯერდა. ქუთაისელები დღეს აქტობეში განმეორებითი შეხვედრის გასამართად მიემგზავრებიან.

მატჩისთვის კი გუნდი ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე ჩვეულ რეჟიმში ემზადებოდა. განკუთვნილი დროის ძირითადი ნაწილი ტორპედოელებმა ბურთთან ივარჯიშეს.

"ტორპედოს" პრესატაშე **რამაზ ჩხიკვაძის** თქმით, მცირე ტრავმის გამო, ქუთაისელებს ვერ გაჰყვება პირველი მატჩში "ტორპედოში" ერთ-ერთი საუკეთესო **გიორგი კუხიანიძე**. სამწუხაროა, რომ ნახევარმცველი ვარჯიშზე დაშავდა და არა შეხვედრის დროს, მეორე დღეს ინდივიდუალურად ივარჯიშა და იმედი გაჩნდა, რომ ტრავმას მატჩამდე მოირჩენდა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და "აქტობე"-"ტორპედოს" დაპირისპირებაში თავისიანებს ველარ დაეხმარება. ორი აზრი არაა, კუხიანიძის არყოფნა ისედაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ქუთაისელებისთვის დიდი დანაკლისი იქნება.

"ტორპედოს" ვებგვერდთან ფეხბურთელებმა განმეორებითი შეხვედრის წინ კომენტარები გააკეთეს.

**დავით გამეზარდაშვილი**: *"ჩვენი თამაში ვერ წარმოვაჩინეთ, რაც მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ. მეტოქემ დალაგებულად და მიზანმიმართულად ითამაშა. მონდომება ჩვენც არ გვაკლდა, მაგრამ ფეხბურთია და ბევრი რამ არ გამოგვდიოდა. გოლიც გავიტანეთ და მინიმალური სხვაობით გამარჯვებაც არ იქნებოდა ურიგო შედეგი, თუმცა მიმაჩნია, რომ ფეხბურთის კანონის მიხედვით ეს თამაში არ უნდა მოგვეგო. დაკარგული არაფერია, 12-ში არ უნდა გავუშვათ და გოლიც აუცილებლად გასატანი გვაქვს. იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება".*

**ომარ მიგინეიშვილი**: *"პირველ თამაშში სათანადო სიმაღლეზე არ ვიყავით, მომავალ მატჩს კი, მჯერა, უკეთ ჩავატარებთ. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ მოვიგოთ და ქუთაისელი გულშემატკივარი გავახაროთ".*

**გივი იოსელიანი**: *"სამწუხაროა, გულშემატკივრების მოლოდინი რომ ვერ გავამართლეთ. ამას თავადაც არ ველოდით. მართალია, თამაში სასიამოვნო საცქერი არ იყო, თუმცა შედეგი არც ისე ტრაგიკული და უიმედოა. დავინახეთ მეტოქის ძალა, უკვე ვიცით მისი და ჩვენი შესაძლებლობები და მგონია, რომ "აქტობეს" ბარიერის გადასალახავად და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად მზად ვართ. ყველაფერი გაანალიზებულია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, გულშემატკივრების წინაშე რეაბილიტაცია რომ შევძლოთ. "ტორპედოს" ღირსეული ფეხბურთელები ჰყავს, რომლებიც ევროპის ლიგის შემდეგ ეტაპებზე თამაშს იმსახურებენ".*

**გიორგი ფანცულაია**: *"ქუთაისში ჩვენთვის არასასურველი შედეგი დაფიქსირდა, ძალიან ძნელი თამაში გამოვიდა. ალბათ, საკუთარი შესაძლებლობების 10 პროცენტიც ვერ გამოვავლინეთ, თუმცა წინ საპასუხო მატჩია და ძალიან მოტივირებულები ვართ. ბრძოლის და რწმენის ხარჯზე, ყველაფერს შევძლებთ".*

**დავით დიღმელაშვილი**: *"მოგება გვინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ - ყოველთვის არ ხდება ისე, ჩვენ რომ გვინდა. ამასაც მიზეზები აქვს. ახლა პირველი თამაში უნდა დავივიწყოთ და 12 ივლისის დაპირისპირებაზე და შემდეგ ეტაპზე გასვლაზე ვიფიქროთ. მეტოქეზე გვქონდა ინფორმაცია და ვიცოდით, რომ ძლიერი გუნდი იყო, თუმცა დაუძლეველი ბარიერი ნამდვილად არ არის. მიმაჩნია, რომ სწორი თამაშის, ჟინისა და მონდომების ხარჯზე ყაზახეთში მოგება სრულიად შესაძლებელია".*

ქუთაისის "ტორპედო" გუშინ თბილისში შეიკრიბა, ყაზახეთში კი 11 ივლისს ჩარტერული რეისით გაფრინდება.

„აქტობესთან" საპასუხო შეხვედრა საქართველოს დროით 19:00 საათზე დაიწყება - მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს "საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი" აჩვენებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# ფეროემ ავსტრია ჩეხურად დაასრულა

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფმა "ზესტაფონმა" ბოლო საკონტროლო მატჩი გამართა, საქართველოს ჩემპიონი ჩეხეთის პირველ გუნდს გაეჯიბრა და 0:1 დამარცხდა.

სლოვანის "ლიბერეცი" ძლიერი მეტოქე რომ იქნებოდა, ცხადი იყო. ფეროელებმაც ალბათ სწორი მიმართულება აირჩიეს, ევროსარბიელის წინ ასეთ მოწინააღმდეგეს რომ ეთამაშნენ.

"ზესტაფონის" ვებგვერდის ცნობით, პირველი ტაიმი საქართველოს ორგზის ჩემპიონის უპირატესობით წარიმართა, გოლის გატანის შანსი **ოვონიკოკოს, ჯაბა დვალსა** და **ლევან შარიქაძეს** ჰქონდათ. "ლიბერეცი" კი კონტრშეტევებით ემუქრებოდა "ზესტაფონს" და ფეროელთა მეკარე **როინ კვასხაძეს** რამდენჯერმე მოუხდა თავის გამოჩენა.

მეორე ტაიმის დასაწყისში **თორნიკე აფციაურმა**, დვალმა და ოვონიკოკომ გაანიავეს საგოლე შესაძლებლობა, 72-ე წუთზე კი ლიბერეცელმა **იან ბლაჟევმა** გამარჯვების გოლი გაიტანა.

"ზესტაფონმა" ამ შემადგენლობით ითამაშა: ***კვასხვაძე, ლონლაძე (თორნიკე გრიგალაშვილი, 72), კობახიძე (თედო გრიგალაშვილი , 80), საჯაია (კაჭკაჭიშვილი, 80), ელიავა, მენთეშაშვილი (სარდალიშვილი, 65), გორგიაშვილი (ბაბუნაშვილი, 72), აფციაური (მუჯირი, 65), შარიქაძე (რაჟამაშვილი, 80), ოვონიკოკო, დვალი.***

**დავით თავართქილაძე**




ზესტაფონი ლიბერეცთან

სამზადისი

# დილა გერმანიაში გაემგზავრება

გორის "დილა" 19 ივლისს დანიაში "ორჰუსთან" ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრისთვის ემზადება.

პირველი შეკრება გუნდმა ავსტრიაში გაიარა, 9 ივლისამდე კი თბილისში ემზადებოდა. "დილას" პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძის** თქმით, დღეს, 11 ივლისს გორელები გერმანიის ქალაქ ჰამბურგში გაემგზავრნენ, სადაც მეორე ერთკვირიანი შეკრება დაიგეგმა და "დილა" დანიაში სწორედ იქიდან გადაფრინდება.

გუნდის მწვრთნელებმა მზადებასთან დაკავშირებით "დილას" ვებგვერდზე კომენტარი გააკეთეს.

**თემურ შალამბერიძე**, "დილას" მთავარი მწვრთნელი: *"მომზადება გეგმის მიხედვით მიდის. მეორე შეკრებაზე უნდა წავსულიყავით, მაგრამ დროის სიმცირის გამო, საამისოდ გერმანიის შეკრებას გამოვიყენებთ. მოწინააღმდეგე გუნდის თამაშის ჩანაწერები მოვიპოვეთ და "ორჰუსმა" საკმაოდ ნორმალური ევროპული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. მაგრამ იმედია, კარგად გამოვალთ და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლებას მოვიპოვებთ".*

**თემურ ლორთქიფანიძე**, "დილას" ფიზმომზადების მწვრთნელი: *"მომზადების ძირითადი ეტაპი გავიარეთ. ახლა მთავარი სისწრაფეზე მუშაობაა და ალბათ, ამ თამაშების შემდეგ სრულად მომზადების დრო გვექნება".*

13 ივლისს გორელთა წარმომადგენლები დანიაში ჩაფრინდებიან და "ორჰუსი"-"ოლბორგის" მატჩს დაესწრებიან - დანიაში სეზონი სწორედ ამ ტურით იხსნება.

13 ივლისს "დილაც" ითამაშებს – ჰამბურგში გორელებმა საკონტროლო მატჩი მესამე ბუნდესლიგელ როტ ვაისის "ერფურტთან" დაგეგმეს.

ცხინვალის "სპარტაკთან" სპარინგში დაშავდა **გიორგი კახელიშვილი**, მაგრამ ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და "დილას" პრესსამსახურის ცნობით, უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს. გუნდში აღარ არიან მცველი **დავით მეგრელიშვილი** და ნახევარმცველი **რომან გოგინაშვილი**, შეკრებაზე ტრავმის გამო ვერ მიდიან **გოჩა ხოჯავა, რევაზ ბარაბაძე** და **გიორგი ილურიძე, გიორგი მამუჩიშვილი** "დილას" მოთამაშეა, მაგრამ საქართველოში დარჩება და შესაძლოა, ბოლნისის "სიონში" გაანათხოვრონ.

გულშემატკივარი მეტ-ნაკლებად კარგად იცნობს გორელთა ყველა ახალწვეულს. გამონაკლისი **ვაკო კაციტაძეა**, რომელიც გორის "დილაში" ბოლნისის "სიონში" გატარებული სეზონის შემდეგ ბევრისთვის მოულოდნელად მიიწვიეს. უნდა ითქვას, რომ 26 წლის საყრდენ ნახევარმცველს ვარჯიშებსა და საკონტროლო შეხვედრებში თავი არ შეურცხვენია.

"ნორჩ დინამოში" **რეზო გაგუას** აღზრდილი საყრდენი ნახევარმცველი უცხოეთში ადრეულ წლებში წავიდა და ქართველი გულშემატკივარი ამიტომ არ იცნობს: 2004-05 წლებში ლიტვის ჩემპიონატის უმაღლესლიგელ "ვილნიუსში" გამოდიოდა. საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია: 17, 19-წლამდელთა და ახალგაზრდულ გუნდებში საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებასაც ტოვებდა, მაგრამ კაციტაძე "სიონამდე" დაიკარგა: 2006 წელს უკრაინაში, პირველი ლიგის ჩერკასის "დნიპროში" თამაშობდა. მერე ტრავმა მიიღო, რვა თვე გაუცდა და 2008 წლიდან 2,5 წელიწადი კვიპროსის პირველი ლიგის არადიპუს "ერმისში" გაატარა. 2011 წელს საქართველოში დაბრუნდა და "სიონში" ჩაირიცხა.




თემურ შალამბერიძემ გუნდი გერმანიისთვის დარაზმა

ორკვირიანი გასინჯვის შემდეგ კაციტაძეს გორის "დილამ" ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

გერმანიაში კი გორის "დილა" შემდეგი შემადგენლობით მიემგზავრება:

მეკარეები: **მარინ სკენდერი, ბექა შეყრილაძე.**

მცველები: **კახა ალადაშვილი, გულვერდ თომაშვილი, ლაშა სალუქვაძე, გიორგი ონიანი, გიორგი შაშიაშვილი, ლექსო ინწკირველი, დავით კვირკველია, ნიკოლოზ ჯიშკარიანი.**

ნახევარმცველები: **რომან ახალკაცი, ლაშა გვალია, გოგიტა გოგუა, შოთა გრიგალაშვილი, გიგა ბეჭვაია, ვაკო კაციტაძე, გიორგი აბურჯანია, ზურაბ არზიანი, შოთა კაშია, სანდრო გურული.**

თავდამსხმელები: **მიხეილ გორელიშვილი, გიორგი კახელიშვილი, ირაკლი მოდებაძე, მათე ვაწაძე.**

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ამისულაშვილი: ახალ სეზონში გაგვიჭირდება

„კრასნოდარის" ქართველი მცველი **ალექსანდრე ამისულაშვილი** წინასასეზონო მატჩში „მლადა ბოლესლავთან" 0:2 მარცხის შემდეგ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს გაესაუბრა. *„ავსტრიულ შეკრებაზე ყველაფერი კარგად მიდის, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ საკონტროლო მატჩი ცუდ მოედანზე გვათამაშეს. სხვათა შორის, მსაჯობაც ვერ იყო სათანადო დონეზე, არადა, მარცხის მიუხედავად, ცუდად არ გვითამაშია. შეცდომები მას მერე დავუშვით, რაც ათნი დავრჩით და ჩვენში ემოციებმა იძალეს. ახალ სეზონში გაგვიჭირდება. იმიტომ, რომ ადრე ჩვენ სათანადოდ ვერ გვაფასებდნენ, ახლა კი ყველამ კარგად იცის „კრასნოდარის" ძალა. ჩემი აზრით, ძალიან ძლიერი და საინტერესო ჩემპიონატი გველის".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ალექსანდრე ამისულაშვილი

თვალსაზრისი

# გულადის დინამო სარატოვი ჰგონია?

**ოდესღაც გულისამაჩქროლებელ "დინამოს" ვერ დამართნია კარგი საქმე, ყოფილი ფეხბურთელი ფეხბურთის ფედერაციაში უჩივის, კლუბმა მკურნალობა არ დამიფინანსაო. არ ვიცი, რითი დამთავრდება ეს დავა, მაგრამ ასეთი სკანდალური სიტუაცია რომ შეიქმნა, ეს უკვე კარგი არ არის კლუბის რეპუტაციისთვის, რაც იმაზე ბევრად უნდა ფასობდეს, ვიდრე გრიშიკაშვილის ორი ოპერაციის ხარჯი.**



რომან ფიფიამ, ჩემი ფეხბურთელის ტრავმაზე ხელებიც დამიბანიაო

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ფეხბურთელის ბედი საქართველოში ძნელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ის ანაზღაურება არ არის, როგორც სხვაგან, უბრალოდ, ჩვენთან არ იციან ადამიანის ფასი, ჩვენთან ადამიანი, როგორც ღირებულება, ისე რა ღირებულებაა.

ზოგ კლუბს ფეხბურთელები სულაც დამონებულები ჰყავს. მონად ქცევის ტექნოლოგია ასეთია: კლუბი ფეხბურთელს უფორმებს 200-ლარიან კონტრაქტს, სინამდვილეში მას უხდის თვეში ოთხჯერ ან ხუთჯერ მეტს, რადგან სხვანაირად ფეხბურთელი ფეხბურთის თამაშს ვერ შეძლებს. კონტრაქტის გაფორმებიდან რამდენიმე ხანში კლუბსა და ფეხბუთელს შორის დავა წარმოიქმნა, ფეხბურთელმა თუ არ დათმო, კლუბი მას ტრანსფერზე დააყენებს. ტრანსფერზე დაყენების შემთხვევაში კლუბი ვალდებულია, რომ ფეხბურთელს ხელფასი მაინც გადაუხადოს, ოღონდ მხოლოდ იმ ოდენობით, რაც კონტრაქტში წერია, ანუ ფეხბურთელი თვეში 200 ლარზე მეტს ვერ მიიღებს. ამიტომაც, თუ რამე სადავო გაჩნდა, ფეხბურთელი იძულებულია, რომ კლუბის პრეზიდენტის ნებისმიერ გადაწყვეტილებას ქედი მოუხაროს. ფეხბურთელმა იცის, რომ ის მონაა. ასეთი კლუბის პრეზიდენტი ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე გამოვა და იტყვის, წლობით ვაფინანსებ კლუბს და დიდად რესპექტაბელური ვინმეც ვარო.

ქართველი ფეხბურთელი ვერ ბედავს კლუბთან ბრძოლას, თუ მას წასასვლელი არსად აქვს. ქართველი ფეხბურთელისთვის ძალიან ძნელია, რომ გახდეს ახალი ბოსმანი, არადა, ეს საჭიროა, სხვანაირად მონათმფლობელობა არ დასრულდება.

"დინამოს" და სოსო გრიშიკაშვილის საქმე სულ სხვანაირადაა. ფეხბურთელმა ვარჯიშზე ტრავმა მიიღო, როცა გუნდს დასჭირდა, ძლიერი გამაყუჩებლითაც გავიდა მოედანზე, საოპერაციო იყო და კლუბმა საამისო ხარჯი არ გასწია – ასე გვითხრა გრიშიკაშვილმა. მან ისიც მოგვახსენა, კლუბმა თვენახევრის ხელფასი არ გადამიხადა და დიღმის ბაზაზე მისვლაც ამიკრძალაო.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით "დინამო თბილისმა" ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომელშიც წერია, რომ "სოსო გრიშიკაშვილის ოპერაცია, რომელიც მან ჩაიტარა საზღვარგარეთ, არ ყოფილა შეთანხმებული კლუბის ხელმძღვანელობასთან და არც კლუბის ექიმის მხრიდან გაკეთებულა ოფიციალური მომართვა აღნიშნულის შესახებ. შესაბამისად კლუბს ოპერაციასთან დაკავშირებით არანაირი ნებართვა არ გაუცია.

"დინამოს" პოზიცია გასაგებია, ოღონდაც გაუგებარი რჩება, რა უნდა ექნა ფეხბურთელს, როგორ უნდა მოერჩინა ტრავმა?

"...ვალდებულია მკურნალობა გაიაროს კლუბის ექიმთან და ამ უკანასკნელის მიერ შერჩეულ სპეციალისტთან დამსაქმებლის მიერ შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებაში. თუ მოთამაშე თავისი შეხედულებისამებრ მოინდომებს მკურნალობას, დამსაქმებელი თავისუფლდება ხარჯებისაგან ეს წერია კლუბსა და ფეხბურთელს შორის დადებულ ხელშეკრულებაშიო, იუწყება "დინამოს" ოფიციალური განცხადება.

ჩნდება კითხვა: რომელი სამედიცინო დაწესებულება შეურჩია "დინამომ" გრიშიკაშვილს? კლუბის განცხადებაში ამაზე არაფერია ნათქვამი, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ტრავმის დროს კლუბმა ფეხბურთელი ფაქტობრივად მიატოვა. საქართველოში რომ ყოფილიყო ისეთი ექიმი და კლინიკა, გრიშიკაშვილს მკურნალობას რომ გაუწევდა, რატომ წავიდოდა ფეხბურთელი საზღვარგარეთ და რატომ დახარჯავდა უფრო მეტ ფულს?

რაღა გითხრათ, მე მგონია, რომ "დინამოს" ეს განცხადება ძალიან უსუსურია იმასთან შედარებით, რაც გრიშიკაშვილმა თქვა "ლელოსთან" ინტერვიუში.

ქართული საფეხბურთო სამყარო ძალიან კომპაქტურია და ყველამ იცის, როგორი ადამიანია სოსო გრიშიკაშვილი. "დინამოს" ახლანდელ პრეზიდენტს კი საფეხბურთო მილეთი ახლა ეცნობა, მათ შორის გრიშიკაშვილისა და "დინამოს" შორის წარმოქმნილი სკანდალითაც.

რომან ფიფია ერასტის ძე, ნამდვილი სახელი გულადი – ასე წერენ რუსული საიტები "დინამო თბილისის" პრეზიდენტზე, იმასაც წერენ, რომ მასზე ფედერალური ძებნა იყო გამოცხადებული, ფიფიას სახელს აკავშირებენ პოლიტიკასთან...

ფიფიას პრეზიდენტობისას "დინამომ" მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები წამოიწყო და ეს ძალიან კარგია, ოღონდაც ყოველივე ეს ვერ შექმნის კლუბის ფილოსოფიას, იმ სულს, რაც "დინამოს" ტიტულებსა და ისტორიას ეკადრება. სარატოვის "სოკოლს" ვინძლო "დინამოზე" მეტი დაფინანსება ჰქონდა, მაგრამ "სოკოლი" "დინამო" ვერ გახდება, სარატოვი სულ სხვა პლაცდარმია...

სხვა თუ არაფერი, "დინამოს" გაკარგებული ბაზა და სტადიონი შერჩება – ასეთი თვალსაზრისი პრაგმატული და ლოგიკურია, ოღონდაც ფეხბურთს სხვა რამეც სჭირდება, მათ შორის ადამიანური მომენტებიც.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, გრიშიკაშვილისა და "დინამოს" დავას გაგრძელება ექნება. ეს ამბავი კი კარგი გაკვეთილი გამოდგება იმ ფეხბურთელებისთვის, ვინც ხვალ რომ უნდა მოაწერონ კონტრაქტს ხელი რომელიმე ქართულ კლუბთან.

საქართველოში ისეთები მომხდარა და ხდება, რომ ბოსმანის საქმე მონაგონი იქნება, თუ ფეხბურთელი გულადია.

**დავით თავართქილაძე**

მუნდიალი - 2014. შესარჩევი ჯგუფი

# დეშამი ესპანეთს ბრძოლას ჰპირდება

მსოფლიოს 2012 წლის შესარჩევ ციკლში თუ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა არ გვასიამოვნა, თანავარსკვლავედის ხილვის საშუალება მაინც გვექნება. ჩვენს გულშემატკივარს მშვენიერი ფეხბურთის ხილვის საშუალება ექნება: საქართველო ხომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების, ესპანეთისა და საფრანგეთის ჯგუფში მოხვდა.

ესპანეთმა ევროპის ბოლო ჩემპიონატზე ძლევამოსილი სვლა გააგრძელა, საფრანგეთის ნაკრები კი ტურნირის მეოთხედფინალში სწორედ ესპანეთმა გამოაგდო.

საფრანგეთის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადამდგარი **ლორან ბლანის** ნაცვლად, ახლა "მამლებს" მკურნალად **დიდიე დეშამი** დაუნიშნეს. ჩინებული საფეხბურთო კარიერის შემდეგ, დეშამმა ძალები მწვრთნელობაშიც წარმატებით მოსინჯა – "მონაკოში", "იუვენტუსსა" და "მარსელში" ურიგოდ არ უმუშავია.

ფრანგების ახალმა დამრიგებელმა გუნდის დაკომპლექტების პრინციპსა და შესარჩევ ჯგუფში გუნდის შანსებზე ილაპარაკა: *"როდესაც ფეხბურთელი ნაკრების ფორმას მოირგებს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მისი სპორტული და ადამიანური თვისებები და როგორ წარადგენს საზოგადოებაში გუნდს. ნაკრებს სწორედ ამის გათვალისწინებით დავაკომპლექტებთ.*

*რაც შეეხება შესარჩევ ჯგუფს, სადაც ესპანეთის ჯგუფში მოვხვდით: ცხადია, ესპანეთი ჯგუფის აშკარა ფავორიტია და აქედან გამომდინარე, ბევრი ფიქრობს, რომ ჩვენ მხოლოდ მეორე ადგილის დაკავებისა და პლეი ოფში მოხვედრის იმედი უნდა გვქონდეს. მაგრამ საფრანგეთის ნაკრები პირველი ადგილის დაკავებას შეეცდება. ასე რომ, ესპანეთთან ბრძოლას ვაპირებთ".*

**მერაბ მამულაშვილი**



2006 წელი. საქართველო-საფრანგეთი. ფრანკ რიბერი ქართველთა გარემოცვაში

მუნდიალი - 2014. შესარჩევი ჯგუფი




# კობიაშვილი დღეებს ითვლის

**გუშინ ლევან კობიაშვილი 35 წლის გახდა. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 100 კეპის მომხვეჭ კობიაშვილს გერმანელებმა ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, აქაოდა, მსაჯ ვოლფგანგ შტარკს ჩაარტყაო. ერთ-ერთმა ბერლინურმა გამოცემამ კობიაშვილზე მცირე სტატია გამოაქვეყნა., რომლის სათაური ასეთია: კობიაშვილი თითოეულ დღეს ითვლის.**

*"დისკვალიფიკაცია პრობლემაა ჩემთვისაც და გუნდისთვისაც, ეს ამბავი სულ თავში მიტრიალებს, მაგრამ საკუთარი თავის მოტივაცია ძნელი მაინც არ არის. დღეებს ვითვლი, თუ როდის გავა დისკვალიფიკაციის ვადა"* – განაცხადა კობიაშვილმა.

ჩვენებურის უდანაშაულობაზე ისიც მოწმობს, რომ კლუბმა მას კონტრაქტი გაუგრძელა და ერთი წლით ისევ "ჰერტას" ფეხბურთელი იქნება. დისციპლინარების უსამართლო გადაწყვეტილებას კობიაშვილის რეპუტაცია არ შეულახავს და ის კვლავ სამაგალითოდ რჩება გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის.

*"გუნდში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს და ახლა იმას ვცდილობ, რომ მათი წინამძღოლობა შევძლო"* – ამბობს კობიაშვილი.

დისკვალიფიკაციის გასვლის შემდეგ "კობის" პირველი ოფიციალური მატჩის ჩატარება 2013 წლის 2 თებერვალს შეეძლება მეორე ბუნდესლიგის ტურში "რეგენსბურგთან".

ბერლინური გამოცემის ჟურნალისტმა გამოთვალა – კობიაშვილს დარჩა 206 დღე.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● ჩვენებურები უცხოეთში

# ჩემი და მერაბის უფლებამოსილება



მერაბ ჟორდანია (მარცხნივ) და ერვინ კაზაკოვსკი

არნემის "ვიტესმა", რომლის მფლობელი და პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია** გახლავთ, ევროპა ლიგის შესარჩევში თამაშის უფლება მოიპოვა, მეორე ეტაპზე პლოვდივის "ლოკომოტივს" დაუპირისპირდება.

"ვიტესში" ახალი მწვრთნელი, გამოცდილი **ფრედ რუტენი** მივიდა, გარდა ამისა ჟორდანიამ გვერდში ახალი კადრი ამოიყენა – გერმანელი **ერვინ კაზაკოვსკი**, ვინც გუნდის მმართველი იქნება.

კაზაკოვსკი გუშინ მცირე ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ ჰოლანდიურ გამოცემას. *"ჩემი და მერაბის უფლებამოსილება ასეთია: კარგია, რომ წინა სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზე გავედით, პლეი ოფშიც ვიმარჯვეთ, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ფრედ რუტენთან გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ რა გვინდა, გეზი გუნდის გაძლიერებისკენ გვაქვს აღებული"* – უთქვამს კაზაკოვსკის.

"ვიტესმა" ახალი მწვრთნელიც აიყვანა – **პატრიკ გრივი**, ის ახალგაზრდებთან დასაქმდება და მათ პირველ გუნდში დაწინაურებაზე ინდივიდუალურადაც იმუშავებს. გრივს "პორტუში", პსჟ-ში, "ატლეტიკოში" და მილანის "ინტერშიც" უმუშავია ამ მიმართულებით. მოგეხსენებათ, "ვიტესი" ქართველი ტალანტების აყვანაში უკვე გაწაფულია და გრივის იქ მისვლაც ალბათ უმნიშვნელო ამბავი არ უნდა იყოს.

**დავით თავართქილაძე**

● სამზადისი

# კობერიძე კოლხეთში ითამაშებს

## ჯერემიამ სიონს ორჯერ გაუტანა

"გაგრა" **მიხეილ კობერიძეს** დაემშვიდობა - ნახევარმცველი უახლოესი 6 თვე ფოთის "კოლხეთში" ითამაშებს.

25 წლის ფეხბურთელს "გაგრასთან" კონტრაქტი 31 დეკემბრამდე აკავშირებდა, მაგრამ კლუბის პრესატაშე **მიხეილ აფხაზავას** თქმით, კონტრაქტი ორმხრივი სურვილისა და შეთანხმების საფუძველზე შეწყდა.

*"გუნდს უკვე დავემშვიდობე. ფოთიდან სპეციალურად ჩამოვედი, გუნდის ხელმძღვანელობას, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს რომ დავმშვიდობებოდი. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელიც ამ გუნდში მუშაობს. ბედნიერი ვარ, "გაგრაში" ორი წლის მანძილზე რომ ვთამაშობდი, ამ გუნდში გავხდი საქართველოს თასის მფლობელი და მისი წარმატება გამიხარდება და ყოველთვის "გაგრას" გულშემატკივარი ვიქნები"* - ამბობს კობერიძე.

ამასობაში, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავრმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** ორი გაგრელი გამოიძახა - **გიორგი გადრანი** და **ნიკა ნარმანია**. ამ უკანასკნელმა რამდენიმე შეხვედრა ძირითადი გუნდის შემადგენლობაშიც ჩაატარა. გადრანი კი ახალი სახეა, "გაგრაში" იანვრიდან ირიცხება და მეორე გუნდის შემადგენლობაში თამაშობდა. მაგრამ მოსამზადებელ ეტაპზე მთავარი მწვრთნელის, **ზვიად ჯელაძის** გადაწყვეტილებით, პირველ გუნდთან ერთად ემზადება და მწვრთნელი მისით კმაყოფილია. ორივე 19-წლამდელთა ნაკრებში ვარჯიშობდა, გუნდს კი გუშინ შეუერთდნენ.

"გაგრამ" მორიგი საკონტროლო შეხვედრა თბილისში, "მერანის" სტადიონზე პირველლიგელ "აეტთან" ჩაატარა და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა - 4:0. გაგრელთაგან თავი გამოიჩინეს **ივანიშვილმა, ხუციძემ, ტყეშელაშვილმა** და **ჯერემიამ.**

შეხვედრა საკმაოდ უხეშად მიმდინარეობდა, რის გამოც მცირე ტრავმები მიიღეს გარელთა მოთამაშეებმა, **როსტიაშვილმა** და **ხოჯაშვილმა.**

"გაგრა," გუშინ კიდევ ერთი სპარინგი ჩაატარა ბოლნისის "სიონთან" და 3:1 გაიმარჯვა. გოლები გაიტანეს **ჯერემიამ (2)** და **ბენჯამინ ტეიდმა**, ბოლნისელთაგან კი თავი **გიორგი ჭანკოტაძემ** გამოიჩინა.

**მერაბ მამულაშვილი**



ჯონ ჯერემია

● ლეგიონერი

# თოთაძე დიორშია, მაგრამ ისრაელში ელიან

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მოთამაშე **ლაშა თოთაძე** გორის "დილამ" ზამთარში დაიმატა. მაგრამ ლაშას "დიორ ეტოსთან" კონტრაქტი მხოლოდ 2013 წლის ზაფხულში უმთავრდება და სეზონის დასრულების შემდეგ უნგრელებმა იჯარის გახანგრძლივებაში საკმაოდ დიდი თანხა მოითხოვეს.

ამ დროისათვის გორელები უკვე შეთანხმებულები იყვნენ კვიპროსის "ანორთოსისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების მარცხენა მცველთან, **დავით კვირკველიასთან**, რომელიც გუნდში უკომპენსაციოდ, თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. ასეთ დროს დღეს "დილაზე" მდიდარი ევროპული კლუბებიც არჩევანს თავისუფალი მოთამაშის სასარგებლოდ აკეთებენ. გამონაკლისი არც "დილა" აღმოჩნდა და ფეხბურთელთან დაშორება მოუხდა.

ლაშა უნგრეთში დაბრუნდა და სეზონისთვის "დიორ ეტოში" ემზადება. უკვე ოთხი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა, ბოლო მათგანი უნგრელებმა სლოვენიაში სოფიის "ლევსკისთან" გამართეს და 1:2 წააგეს. ლაშა მოედანზე მეორე ნახევარში გამოჩნდა. წინა შეხვედრა უნგრელებმა აკაკი ხუბუტიას რუმინულ "გაზ-მეთანთან" 2:0 მოიგეს, თოთაძემ შეუცვლელად ითამაშა.

თუმცა, ჯერ მისი უნგრეთში დარჩენა საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, რადგან 22 წლის მარცხენა მცველს ისრაელისა და კვიპროსის კლუბებში იწვევენ. კვიპროსზე უარი თავად თქვა, რადგან კუნძულზე ეკონომიკური კრიზისია და კლუბებს გაუჭირდათ, ისრაელის კლუბი კი მის საბოლოო პასუხს უახლოეს დღეებში ელის.

სოფიის "ლევსკისთან" არ უთამაშიათ რატი ალესიძესა და გიორგი განუგრავას. "დიორ ეტოს"ვებგვერდის ცნობით, ორივე მთავარმა მწვრთნელმა ტრავმების გამო დაასვენა.



ლაშა თოთაძე

**მერაბ მამულაშვილი**

● რეგიონი



გიორგი ძაძამია შესაძლოა გურიაში დაბრუნდეს

# ლანჩხუთში იწყებენ და ცვლიან...

## უცვლელი მხოლოდ მიზანია: უმაღლესი ლიგა!

**გასულ სეზონში „გურია" ახლოს იყო მიზანთან, 10-წლიანი შესვენების შემდეგ უმაღლეს ლიგაში ეასპარეზა — გუნდი პლეი აუტის სტარტზე მოსალოდნელზე წარმატებით ასპარეზობდა, თუმცა დასკვნითი მატჩები ასევე მოულოდნელად ჩააგდო და ელიტლიგაში აღზევების შანსი მინიმუმ ერთი წლით გადადო. არადა, „გურიის" წარმატებაზე ლანჩხუთში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მომავალი იყო დამოკიდებული და ასეთი ჩავარდნის შემდეგ, იყო შანსი, რაიონს საფეხბურთო პრიორიტეტზე ხელი აელო, რასაც თავისთავად მოყვებოდა სტადიონის რეკონსტრუქციის გაურკვევლი დროით გადადება.**

თუმცა ლანჩხუთელი ქომაგების გასახარად ყველაფერი რიგზეა. ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით კლუბი კვლავაც უმაღლესი ლიგისთვის იბრძოლებს. ამ კუთხით საინტერესოა, რომ მმართველი პარტიის მხრიდან დეპუტატობის კანდიდატად კლუბის ყოფილი პრეზიდენტი და დღეს ლანჩხუთის გამგებელი **გიორგი გოგუაძე** სახელდება, ვის სახელთანაცაა დაკავშირებული კლუბისადმი ხელისუფლების მხარდაჭერა. ცნობისთვის, მისი კონკურენტი „ქართული ოცნებიდან" „გურიის" ლეგენდარული კაპიტანი **თემურ ჩხაიძე** იქნება.

ბოლო კვირების განმავლობაში ლანჩხუთს მინდვრის საფარის გამომცვლელი კომპანიისა თუ სტადიონის დამპროექტებელთა ჯგუფები არაერთხელ ეწვივნენ. როგორც ხელისუფლება ირწმუნება, „ევგრაფი შევარდნაძე" აუცილებლად გარემონტდება. განახლებული არენის გახსნა სექტემბრის ბოლოსთვის იგეგმება. იმ დროს შემდეგი სამუშაოები უნდა იყოს დასრულებული: მინდვრის საფარის გამოცვლა, განათებისა და ელექტროტაბლოს დამონტაჟება, გასახდელის კეთილმოწყობა (სავარაუდოდ, ძველი დაინგრევა და ახალი აშენდება), ჩრდილოეთ ტრიბუნის მოხსნა, ტრიბუნების გამაგრება და იზოლაციის მოწყობა, ასევე პრეს და ვიპ ლოჟების კეთილმოწყობა. განახლებული არენა 10 ათასამდე ქომაგს დაიტევს და პირველ ეტაპზე 4-5 ათასი ინდივიდუალური სკამის დამონტაჟება მოხდება. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში „გურიას" საშინაო შეხვედრებს 2 ათასზე მეტი ქომაგი ესწრებოდა და ერთხელ გულშემატკივართა რაოდენობამ 5 ათასსაც გადააჭარბა.

*„გასულ სეზონთან შედარებით კლუბს ნაკლები ბიუჯეტი კი ექნება, მაგრამ უკეთესი გუნდი უნდა გავაკეთოთ, რადგან მიზანი — უმაღლეს ლიგაში გადასვლა — შევასრულოთ. წელს ამის კარგი შანსი გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ შევძელით. ამის გამო გულშემატკივრებს კიდევ ერთხელ ვუხდით ბოდიშს, თუმცა ვფიქრობ — უფრო მეტად საბოდიშო ფეხბურთელებს აქვთ, რომელთაც ყველანაირი პირობა შევუქმენით. ვაღიაროთ, ჩვენ არ გვყავდა ისეთი გუნდი, როგორი წარმატებითაც გამოვედით პირველ წრეში, ამიტომაც ვთხოვდით ფეხბურთელებს მობილიზებას, მაგრამ, ეტყობა წარმატებებმა მათზე ცუდად იმოქმედა, ზოგმა ცაში ფრენა დაიწყო და სამწუხარო შედეგიც მივიღეთ. თუმცა იმედიანად ვართ განწყობილები და ყველაფერს გავაკეთებთ გურული ქომაგის გასახარად"* — აცხადებს გურული ფეხბურთის მესაჭე **კახა ებრალიძე.**

რაც შეეხება ცვლილებებს, ცნობილია, რომ „გურიას" მთავარი მწვრთნელი შეეცვალა — ეროვნულ ჩემპიონატებში კლუბის ყველაზე წარმატებული თავკაცის, **გიგლა იმნაძის** (პირველი თასი და ვერცხლის მედლები ლანჩხუთელებმა სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიპოვეს) თანამდებობა გასული სეზონის ფინიშზე წარუმატებლობას შეეწირა — მას ახალგაზრდა სპეციალისტი **თემურ ლორია** შეცვლის. ეს უკანასკნელი „გურიის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია, კარიერის მანძილზე იცავდა მის ღირსებას და გაუწვრთნია კიდეც. მას A კატეგორიის სამწვრთნელო ლიცენზიაც აქვს.

ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებებია შემადგენლობაში. სხვა კლუბებში აგრძელებენ კარიერას მეკარე **ლევან ბუბუტეიშვილი**, მცველები **ერეკლე კილაძე** (ორივე ბათუმის „დინამო") და **როინ ონიანი** („ზუგდიდში" დაბრუნდა). რაც შეეხება დანარჩენ წევრებს, „გურიამ" მხოლოდ ადგილობრივები დაიტოვა სრული შემადგენლობით, ხოლო მოწვეულებიდან **დავით მაისაშვილი, გია თოდუა, ალექსანდრე ლალაძე** და **არნო ჩასემი** შეინარჩუნა. მარტვილის „მერანში" გადასვლას გეგმავდა, მაგრამ „გურიაში" დაბრუნდა გუნდის ლიდერი და მთავარმეგოლე **გიგა კვერენჩხილაძე**, კაპიტანი სეზონისთვის მოსამზადებელ წვრთნაში უკვე ჩაერთო. ფორვარდით დაინტერესებას უმაღლესლიგელები იჩენდნენ — მარტვილის გარდა მისით ბათუმის „დინამოც" სერიოზულად იყო დაინტერესებული. თუმცა გიგამ უმაღლესლიგელებს და უკეთეს პირობებს მშობლიურ კლუბში დაბრუნება არჩია. გურულებს ერთი მეკარის დამატება სურთ და მოლაპარაკებებს „ვიტ ჯორჯიას" ყოფილ მეკარე **გიორგი ძაძამიასთან** აწარმოებენ. იგი უკვე ირიცხებოდა „გურიაში", სადაც წარმატებული ასპარეზობის შემდეგ ვეტერინარების ძირითადი მეკარე გახდა.



გურიას ახალი მთავარი მწვრთნელი თემურ ლორია

ლანჩხუთელები რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებას გეგმავენ. კლუბმა პირველი ტესტმატჩი თანაკუთხელ „მერცხალთან" ამ ცოტა ხნის წინ გამართა და 2:1 გაიმარჯვა. რამდენიმე დღეში „გურია" გრიგოლეთში დაბანაკდება და საკუთარ ბაზაზე ორკვირიან შეკრებასაც გაივლის.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## რედნაპი, გვარდიოლა, ბენიტესი და სხვები

რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვაკანტურ პოსტზე პრესაში აქამდე დასახელებულ ყველა კანდიდატურას განიხილავს. აღნიშნულ სიაში არიან უცხოელებიდან: **ჰარი რედნაპი, პეპ გვარდიოლა, ფაბიო კაპელო, მარჩელო ლიპი, რაფაელ ბენიტესი** და **მარსელო ბიელსა**. სიაში არიან რუსი სპეციალისტებიც: **ანატოლი ბიშოვეცი, ვალერი გაზაევი, ანდრეი კობელევი, იური კრასნოჟანი, ვალერი ნეპომნიაშჩი, იური სიომინი** და **ნოკოლაი პისარევი**. მოლაპარაკება ყოველ მათგანთან უახლოეს ხანებში დაიწყება.

## შელვის ახალი კონტრაქტი

"ლივერპულის" 20 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **ჯონჯო შელვიმ** მერსისაიდელებთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. რატომღაც ვერსად აღმოვაჩინეთ, თუ რომელ წლამდე გაფორმდა თანამშრომლობა. შელვი "ენფილდზე" 2010 წელს გამოჩნდა, თუმცა ასაკის გამო ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო. შარშანდელი სეზონის პირველი ნაწილი იჯარით მან "ბლეკპულში" გაატარა. შემდეგ კი დაბრუნდა და მეორე წრეში "წითლებს" 9 მატჩში შეეწია.

**ლევან ბიბილაშვილი**

სკანდალი

# დღე პირველი: რა სარგებლობა მოაქვს ეშლი კოულის თავს

9 ივლისს ლონდონის ვესტმინსტერის სამაგისტრო სასამართლოში **ჯონ ტერის** პროცესი დაიწყო. მოგეხსენებათ, "ჩელსის" 31 წლის კაპიტანი შარშანდელი 23 ოქტომბრის შემდეგ "ქუინზ პარკის" ცენტრალური მცველის **ანტონ ფერდინანდის** რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყოფაშია ეჭვმიტანილი. პრესაში ამბის გახმაურების შემდეგ საქმის გამოძიება თავის თავზე პოლიციამ აიღო და ფეხბურთელს ბრალდება წაუყენა. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი ბრალდებას რასაკვირველია არ ეთანხმება. მაქსიმალური სასჯელი, რაც ჯონს ემუქრება, 2,5 ათასი ფუნტის ჯარიმაა. ტერი იმისთვის კი არ იბრძვის, რომ აღნიშნული თანხა არ დააკისრონ, არამედ, უპირველესად, თავისი რეპუტაციისთვის. მისთვის ცხადია, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი საფეხბურთო ასოციაციას ხელ-ფეხს გაუხსნის, რათა მას პრემიერლიგაში დისკვალიფიკაცია მისცეს ან ეროვნულ გუნდში თამაში აუკრძალოს. ელოდებიან, რომ მოსამართლის ვერდიქტი პარასკევს გახდება ცნობილი.



ჯონ ტერი სასამართლოში შესვლამდე მშვიდად გამოიყურებოდა

პროცესი სახელმწიფო ბრალმდებელ **დანკან პენის** მიჰყავდა. პროკურორმა დაზარალებული დაჰკითხა. როგორც ირკვევა, გაუგებრობა მაშინ დაიწყო, როცა ქუინზპარკელმა ჩელსელის წინააღმდეგ უხეშად ითამაშა, რამაც უკანასკნელი ძალიან გააბრაზა. აი, როგორ წარიმართა საუბარი პენისა და ფერდინანდს შორის. ბუნებრივია, მკითხველისადმი პატივისცემის ნიშნად ცენზურას ვიცავთ.

**დანკან პერი**: რა გინოდათ (ტერიმ)?

**ანტონ ფერდინანდი**: მან დამიძახა შე შავო ...ო!

დ.პ: თქვენ რა გააკეთეთ?

ა.ფ: საპასუხოდ მეც ... ვუწოდე.

დ.პ: შემდეგ?

ა.ფ: შემდეგ გააკეთა ჟესტი, რომლითაც აშკარად უნდოდა ეთქვა, რომ მე სუნი ამდიოდა.

დ.პ: შემდეგ?

ა.ფ: მე ვუთხარი, შენ მე ... როგორ მიწოდებ, როცა თანაგუნდელის ცოლთან ინექი-თქო.

მოსამართლემ ვიდეოგამეორების ნახვა ისურვა. ფირი მას წინდაწინ "სქაი სპორტსმა" გაუმზადა, თანაც სხვადასხვა კუთხიდან გადაღებული კადრებით. ზუსტად იმ მომენტში, როცა ფერდინანდის ვერსიით, ჯონ ტერიმ მას შავი ... უწოდა, "ჩელსის" კაპიტნის ტუჩებს **ეშლი კოულის** თავი ეფარება. შესაბამისად, რა თქმა ფეხბურთელმა ამის გარჩევა შეუძლებელი ხდება. "დეილი მეილის" ჟურნალისტი და დამსწრე საზოგადოება შოკირებული დარჩნენ საქმის განხილვის დროს ყველაზე ხშირად გაჟღერებული ფრაზებით. სასამართლოს სხდომამდე ანტონის უფროსმა ძმამ **რიო ფერდინანდმა** "ტვიტერზე" ფილმ "მატყუარა, მატყუარას" (მთავარ როლში **ჯიმ კერი**) ლინკი დადო. ჩვენების მიცემის დროს თავად ანტონი აშკარად ნერვიულობდა და ცდილობდა, ოჯახის წევრებისთვის თვალი არ მოეშორებინა, თითქოს მათგან მხარდაჭერას ელოდებოდა. სხდომის დასრულების შემდეგ ტერის ადვოკატის **ჯორჯ კარტერ სტივენსონის** თქმით, ჯერჯერობით მან ბრალდების ყველა მტკიცებულება გააბათილა.

"დეილი მეილის" მიხედვით

ამბები



## რიკელმე და არაბები

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინათ 34 წლის **ხოსე რომან რიკელმემ** განაცხადა, რომ „ბოკა ხუნიორსში" თამაში ძველებურად აღარ ანიჭებს სიამოვნებას, რადგან მიიჩნევს, რომ ისეთი სარგებლიანი ველარ არის, როგორიც - ახალგაზრდობაში. არგენტინული მედია უკვე ლაპარაკობს რიკელმეს სავარაუდო ტრანსფერზე ახლო აღმოსავლეთში - საუდის არაბეთის ერთ-ერთი გუნდი, რომლის სახელიც უცნობია, 3 მილიონ დოლარს სთავაზობენ „ბოკა ხუნიორსს" რიკელმეს სანაცვლოდ. თუკი „ბოკა" კაპიტნისა და გუნდის სიმბოლოს გაყიდვას დაჰყაბულდება, უკვე ფეხბურთელსა და არაბულ კლუბს შორის დაიწყება მოლაპარაკება.

## ალთინთოპი გალაში

**ჰამით ალთინთოპი** უახლოეს დღეებში „რეალიდან" „გალათასარაიში" გადავა. 29 წლის თურქი შარშან გადავიდა „სამეფო კლუბში", თუმცა პირველ გუნდში დამკვიდრება მან ვერ შეძლო. ალთინთოპი ნიგერიელმა მეგობარმა **სიმონ ზენკემ** გათქვა, რომელიც „სამსუნში" თამაშობს. ზენკემ „ტვიტერზე" დაწერა, რომ 99%-ით ალთინთოპი თურქეთში ითამაშებს, თუმცა კლუბი მას არ დაუსახელებია.

## ჩუტყვავილამ ოლიმპიადა გამოატოვებინა

ესპანეთის ოლიმპიურ ნაკრებში ერთი იძულებითი ცვლილებაა - **მიკელ სან ხოსე** ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშებს ლონდონში, მის ნაცვლად კი **ლუის მილიამ ვიქტორ რუისი** მიიწვია. 22 წლის ბილბაოელს, რომელსაც „ლივერპულშიც" უთამაშია, ჩუტყვავილა აქვს. ვალენსიელი რუისი გამოძახებული კია, მაგრამ ის კლუბში გააგრძელებს ვარჯიშს, ნაკრებში კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდება, თუ საჭირო გახდება მისი დამატება.

## სტროოტმანი ვალენსიაში?

ჰოლანდიელი **კევინ სტროოტმანის** აგენტი ამბობს, რომ მისი კლიენტით „ვალენსია" დაინტერესდა. 22 წლის ნახევარმცველმა პსვ-ში პირველივე სეზონში კარგად წარმოაჩინა თავი და უფრო ძლიერი კლუბების დაინტერესებაც გამოიწვია, თუმცა ყველაზე სასურველი მათში „ვალენსიაა".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# დე იონგი: გამიშვით, გლადბახში მინდა!

## ბორუსია და ტვენტე: ომი გრძელდება



ლუუკ დე იონგს გული მიონხენგლადბახისკენ მიუწევს

მიონხენგლადბახის „ბორუსიასა" და „ტვენტეს" შორის **ლუუკ დე იონგის** შესახებ მოლაპარაკებები ჩიხში კი შევიდა, მაგრამ გერმანელები ბრძოლას აგრძელებენ და საგრძნობლად გაიზარდა იმის შანსი, რომ შეთანხმებას მიაღწიონ. როგორც ვიუწყებოდით, „ტვენტეს" პრეზიდენტმა **იოოპ მუნსტერმანმა** 21 წლის გოლეადორში 20 მილიონი ევრო მოითხოვა და ისიც თქვა, ზოგიერთი კლუბი 25 მილიონსაც კი გვთავაზობსო, მიონხენგლადბახელებიკი მხოლოდ 12-13 მილიონის გადახდაზე იყვნენ თანახმა.

„ბილდის" ინფორმაციით, ამ ორ დღეში ბევრი რამ შეიცვალა – „გლადბახმა" შეთავაზება 14.5 მილიონ ევრომდე გაზარდა და აღარც ჰოლანდიელები არიან ძველებურად ცხვირაწეულები. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ეს ყველაფერი თავად დე იონგის დამსახურებაა, რომელსაც „ტვენტეს" ხელმძღვანელებისთვის უთქვამს, თუ სადმე გადავალ, მხოლოდ „გლადბახშიო". შესაბამისად, ენსხედელები მიხვდნენ, რომ ლუუკს რუსეთში ან უკრაინაში ვერ გაყიდიან – 20 და 25 მილიონ ევროს „ტვენტეს" სწორედ რუსული და უკრაინული კლუბები სთავაზობდნენ, მაგრამ დე იონგს (25 გოლი გასულ სეზონში) კარიერის ამ ქვეყნებში გაგრძელება არ სურს.

„გლადბახის" მწვრთნელ ლუსიენ ფავრს ტელეფონით რამდენჯერმე ვესაუბრე და მან ამიხსნა, როგორ და რაში ვჭირდები. ფავრმა დამარწმუნა, რომ მიონხენგლადბახში უნდა გადავიდე, - აცხადებს დე იონგი და დასძენს, - „ტვენტეს" ბოსებს უკვე ვუთხარი, რომ მხოლოდ „გლადბახში" გადასვლას დავთანხმდები. ამასთან, ბუნდესლიგა იდეალური მისამართია და მჯერა, რომ გერმანიაში თამაში ჰოლანდიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებაშიც დამეხმარება."

**გოტფრიდ ლენცი**

ვოლფსბურგი



დიეგოს ვოლფსბურგის ფორმით ალბათ ველარ ვიხილავთ

# მაგათი დიეგოს უშვებს

## ...ოღონდ, 10 მილიონ ევროს ითხოვს

**ფელიქს მაგათი** ცდილობდა, **დიეგო** „ვოლფსბურგისკენ" შეეტრიალებინა, მაგრამ „მგლების" მწვრთნელი და მენეჯერი მიხვდა, რომ ბრაზილიელისთვის კალთების დახევა არ ღირს. როგორც იცით, 27 წლის გამთამაშებელმა გასული სეზონი „ატლეტიკოში" არენდით გაატარა, ახლა კი „ვოლფსბურგში" დაბრუნდა, თუმცა ტრავმა მოიმიზეზა და სამშობლოსკენ აიღო გეზი, სადაც მკურნალობის კურსს გადის. მიუხედავად მაგათის არაერთი განცხადებისა, დიეგოს დაბრუნებას მივესალმებიო, ბრაზილიელს გერმანულ კლუბზე ერთი დადებითი ფრაზაც არ დასცდენია და როგორც ჩანს, ეს ყველაფერი „დესპოტ ფელიქსსაც" ყელში ამოუვიდა.

„თუკი მას სჯერა, რომ სხვაგან უფრო ბედნიერი იქნება და უკეთ ითამაშებს, ვიდრე ჩვენთან, დაე წავიდეს. ასეთ შემთხვევაში მან სწრაფად უნდა ეძებოს ახალი გუნდი, რადგან აღარ ითმენს და ერთიც ვნახოთ, რას იპოვის," - უთხრა გუშინ მაგათმა „კიკერს". ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ფელიქსი დიეგოს სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს ითხოვს და ბრაზილიელის გადაბირებით „ატლეტიკო", „ფლამენგო" და მოსკოვის „ლოკომოტივი" არიან დაინტერესებულები.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# გოგია აუგსბურგიდან წავიდა

## ...და შეიძლება ზანკტ პაულიში გადავიდეს

„აუგსბურგი" წარმოშობით ქართველ ფეხბურთელ **აკაკი გოგიას** გამოეთხოვა. ეს უკანასკნელი შვაბენლანდურ კლუბში „ვოლფსბურგიდან" იყო განათხოვრებული და წესით, „აუგსბურგში" 2013 წლის 30 ივნისამდე უნდა ეთამაშა, მაგრამ როგორც „აუგსბურგის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა, 20 წლის გოგიამ საარენდო ხელშეკრულების ნაადრევად განწყვეტა თავად ითხოვა და მისი სურვილი დააკმაყოფილეს.

„აკაკიმ კონტრაქტის ნაადრევად განწყვეტა გვთხოვა და ჩვენც დავთანხმდით. გოგიას წარმატებებს ვუსურვებთ," - ეს „აუგსბურგის" მენეჯერ **მანფრედ პაულას** სიტყვებია.



აკაკი გოგია (მარცხნივ) და ლევან კობიაშვილი

გოგიამ გასულ სეზონში „აუგსბურგის" ფორმა ბუნდესლიგაში 12-ჯერ მოირგო. მწვრთნელი იოს ლუჰუკაი მას სეზონის დასაწყისში თითქმის ყოველთვის ათამაშებდა, მაგრამ მერე დაშავდა და სეზონის მეორე ნახევარი მთლიანად გაუცდა. გოგია ახლა „ვოლფსბურგში" უნდა დაბრუნდეს – მას სავარაუდოდ ისევ გაანათხოვრებენ, ან გაყიდიან. ცნობილია, რომ აკაკის „ზანკტ პაულიში" ეპატიჟებიან.

**გოტფრიდ ლენცი**



# უცხოური ფეხბურთი

მეკარე

## მარკეტი იმედს არ კარგავს

"ლაციოს" კარის დარაჯმა, **ფედერიკო მარკეტიმ** დიდი იმედი გამოთქვა, რომ **ჩეზარე პრანდელი** მას ყურადღებას მიაქცევს და ეროვნულ ნაკრებში გამოიძახებს. 29 წლის კიპერმა ბავშვობის ოცნება **მარჩელო ლიპის** მწვრთნელობის დროს აისრულა, "აძურას" ფორმა მოირგო და მსოფლიოს ჩემპიონატზეც კი იასპარეზა. გახსოვთ ალბათ, სამხრეთაფრიკული მუნდიალის წინ, **ჯანლუიჯი ბუფონმა** ტრავმა მიიღო, მაესტრომ კი არჩევანი სწორედ მარკეტიზე შეაჩერა და მას მიანდო ადგილი ძირითად შემადგენლობაში. ისიც გემახსოვრებათ, რომ ფედერიკომ თავი ვერაფრით გამოიჩინა და მას შემდეგ, ნაკრებს აღარც გაჰკარებია. სამაგიეროდ, გასულ სეზონში "ლაციოს" შემადგენლობაში გაისარჯა ნაყოფიერად და იმედი გაუჩნდა, რომ ეროვნულ გუნდშიც დაიბრუნებს ადგილს - აი, რას ამბობს "ბიანკოჩელესტეს" მეკარე:

*"ჩემზე უკეთ არავინ იცის, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საუკეთესო თვისებები ვერ წარმოვაჩინე, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და დღეს, სულ სხვა რეალობაში ვართ. "ლაციოში" საკუთარი თავი ვიპოვე, ვგრძნობ, რომ ბევრად მოვუმატე და შემიძლია ეროვნულ ნაკრებსაც გამოვადგე. კარგი იქნება თუ ჩეზარე პრანდელი ყურადღებას მომაქცევს და ერთ შანსს მაინც მომცემს. დარწმუნებული ვარ, ამ შანსს ხელიდან აღარ გავუშვებ, რადგან ეროვნულ ნაკრებში თამაში ჩემთვის ყველაზე დიდი მოტივაციაა".*



ნაპოლი

## კავანი ლავეციზე არ დარდობს
### და ტიტულებს უმიზნებს

**ედინსონ კავანი** დარწმუნებულია, რომ მომდევნო სეზონში "ნაპოლის" ყველა მწვერვალის დაპყრობა შეუძლია და ეს მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ერთ-ერთმა ლიდერმა, **ესეკილ ლავეციმ** დატოვა. ურუგვაელ ფორვარდს ხშირად უწევს ჟურნალისტებთან ურთიერთობა, თუმცა ასეთი ოპტიმისტური განცხადებების გაკეთებისგან ადრე თავს იკავებდა, რადგან მისი ნეაპოლში დარჩენის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა – გადაწყდა თუ არა მისი დარჩენის ამბავი, უმალ ამოიდგა ხმა და ომახიანი განცხადებები გააკეთა:

*"მიუხედავად იმისა, რომ ესეკილ ლავეციმ დაგვტოვა, დარწმუნებული ვარ, გუნდი პროგრესს არ შეწყვეტს და ისეთივე ძლიერი იქნება, როგორიც ბოლო წლებში. მეტიც, კიდევ უფრო გავძლიერდებით და ზუსტად ვიცი, რომ უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. რატომ არ მოვიქეცი ესეკილის მსგავსად? – ნეაპოლში ცხოვრება სულ უფრო მომწონს და შესაბამისად, აქედან აბარგების არავითარი სურვილი არ მაქვს. ამასთან, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ ტიტულებს სწორედ "ნაპოლისთან" ერთად მოვიგებ. გასულ სეზონში, იტალიის თასის ალმართვა მხოლოდ დასაწყისი იყო და მთავარი ტროფეები წინ გველის. ჩვენ გვყავს გორან პანდევი, რომელსაც ნაწილობრივ შეუძლია ლავეცის შეცვლა და რაც მთავარია, გუნდი სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას აპირებს. ჩემი ინფორმაციით, უკვე დაგვემატა ერთი ძალიან კარგი ფორვარდი, რომელმაც "პესკარას" აღზევებაში დიდი წვლილი შეიტანა".*

პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ნაპოლიში" დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო **ანდრეა დოსენამ**. 30 წლის ნახევარმცველი "სამპდორიაში" გადაბარგებასთან იყო ახლოს, თუმცა ბოლო მომენტში სამხრეთში დარჩენა ამჯობინა. მართალია, **ვალტერ მაცარისგან** ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობის გარანტია ვერ მიიღო, მაგრამ გარისკა და კიდევ მინიმუმ ერთი წელი "ნაპოლის" ღირსებას დაიცავს.



ედინსონ კავანი ოპტიმიზმს არ კარგავს

პარმა

## ემილიელთა ამბიციური გეგმები
### გირარდის ამაურის იმედი აქვს



კარვალიო ამაურიმ უნდა დაამტკიცოს, რომ ფეხბურთის თამაში კვლავაც მაღალ დონეზე შეუძლია

ახალი სეზონისთვის მზადებას "პარმაც" შეუდგა, რომელსაც ამბიციური გეგმები აქვს და ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებას აპირებს; ეს მიუხედავად იმისა, რომ გუნდი წამყვანმა ფეხბურთელმა **სებასტიან ჯოვინკომ** დატოვა. როგორც ჩანს, ემილიელთა ოპტიმიზმის უმთავრესი საფუძველი გასული სეზონის მეორე ნახევარი გახლავთ, როდესაც "ჯალობლუს" სათავეში **რობერტო დონადონი** ჩაუდგა და გუნდი აღმავლობის გზას დააყენა. დონიმ ცხრილის ფსკერიდან ამოათრია "პარმა" და სეზონი მერვე პოზიციაზე დაასრულებინა, რასაც არავინ ელოდა. მოვუსმინოთ კლუბის პრეზიდენტ **ტომაზო გირარდის**, რომელმაც საწვრთნელი პროცესის დაწყების წინ, ბრიფინგი გამართა:

*"გუნდი განვითარების სწორ გზას ადგას და ეს განვლილმა სეზონმა ნათლად დაგვანახვა. ბევრმა გამაკრიტიკა, როდესაც არჩევანი რობერტო დონადონიზე შევაჩერე და მთავარ მწვრთნელად დავნიშნე, თუმცა შემდეგ ყველა მიხვდა, რომ აბსოლუტურად მართალი ვიყავი. დონი გამოცდილი სპეციალისტია და მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე გუნდში ხელი მოეცარა, მასში 100%-ით დარწმუნებული ვიყავი. თანაც, ძალიან დიდი მოტივაცია ჰქონდა შესაძლებლობების დამტკიცების, რადგან იმავე "ნაპოლიდან" დაუმსახურებლად გამოუშვეს. მე თუ მკითხავთ, სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი იმ გუნდს, რომელმაც ვალტერ მაცარისთან ერთად წარმატებებს მიაღწია. მოკლედ, ჩავთვალე, რომ გუნდს დონადონი სჭირდებოდა და არც შევმცდარვარ. რაც შეეხება სატრანსფერო კამპანიას, მხოლოდ გაძლიერებაზე ვფიქრობთ, რადგან ჯოვინკოს სახით, ისედაც დიდი ძალა დავკარგეთ".*

გირარდის პერსონალურად მოუხდა საუბარი **კარვალიო ამაურიზე**, რომელიც ემილიელთა პირველი შენაძენია და ისეთი პირი უჩანს, რომ სწორედ მან უნდა იტვირთოს ლიდერის ფუნქცია: *"ამაურის სახით ძალიან ძლიერი თავდამსხმელი შევიძინეთ, რომელსაც ადრეც უთამაშია "პარმაში" და შესაბამისად, ადაპტაციისთვის დრო ნამდვილად არ დასჭირდება. მქონდა მასთან საუბარი და ჩვენი აზრები სრულად დაემთხვა ერთმანეთს. სურს დაუმტკიცოს მთელ ევროპას, რომ დიდი ფეხბურთის თამაში კვლავაც შეუძლია, ჩვენ კი ამაში აუცილებლად დავეხმარებით. დარწმუნებული ვარ, წვრთნებზე ყველაზე უფრო მონდომებული იქნება, ძალიან ბევრს ივარჯიშებს, რათა უმოკლეს დროში საუკეთესო კონდიციას მიაღწიოს. მისი გადაბირება რამდენიმე იტალიურ გუნდს სურდა, მაგრამ არჩევანი "პარმაზე" შეაჩერა; ამან ძალიან გამახარა, რადგან გუნდს სწორედ კარვალიოს დარი ფორვარდი სჭირდებოდა. ჩვენი მიზანია, რომ ახალ სეზონში ევროსაგზურისთვის ვიბრძოლოთ და მჯერა, ეს ასეც იქნება".*

ტალანტი

## ვერატი პსჟ–ისკენ გადაიხარა

რამდენიმე დღეა იტალიური პრესა აქტიურად წერს იმის შესახებ, რომ ფრანგული პსჟ-ის მესვეურები **მარკო ვერატის** გადაბირებით არიან დაინტერესებულნი. მარკო მხოლოდ 19 წლისაა, მაგრამ უკვე მოასწრო და არაერთი ევროპული კლუბის ყურადღება მიიპყრო – მან გასულ სეზონში გაიბრწყინა, როდესაც "პესკარასთან" ერთად სერია A-ს საგზური მოიპოვა. ვერატის გადაბირება იტალიური ფეხბურთის გრანდებს სურდათ, მაგრამ ახალგაზრდა ნახევარმცველმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ კიდევ მინიმუმ ერთი სეზონი მშობლიურ გუნდში უნდა დარჩენილიყო. თუმცა, მას შემდეგ, რაც საქმეში პსჟ ჩაერთო, ფეხბურთელმა პოზიცია შეიცვალა და უკვე ახალი თავგადასავლებისკენ უჭირავს თვალი. როგორც ჩანს, უცხოური გამოცდილება და თან, ზღაპრული კონტრაქტი მისთვის მეტისმეტად დიდი ცდუნება გამოდგა – აი, რა განაცხადა ვერატის პირადმა აგენტმა **დონატო დი კამპლიმ**:



მარკო ვერატი

*"მარკოს ძალიან ხიბლავს საფრანგეთში გადაბარგების პერსპექტივა და დიდია შანსი, ტრანსფერი შედგეს კიდეც. დიახ, შედგეს და თანაც უახლოეს ერთ კვირაში. პსჟ-ის კარლო ანჩელოტი უდგას სათავეში, რომელიც პირადად ესაუბრა ჩემს კლიენტს და დაარწმუნა, რომ სწორედ მისი ყაიდის ფეხბურთელი სჭირდება. თუ ტრანსფერი შედგა, "პესკარა" 12 მილიონ ევროს მიიღებს, თუმცა ვნახოთ, ჯერ საქმე მაინც ბოლომდეა მისაყვანი".*

უდინეზე

## დომიცი ფრიულიზე რჩება

ბოლო დღეებში, იტალიური პრესა იმის შესახებ, რომ უდინელი **მაურიციო დომიცის** გადაბირება "ინტერს" სურს. მეტიც, ჟურნალისტთა ნაწილი იმასაც კი ამტკიცებდა, შეთანხმება პრაქტიკულად მიღწეულია და მილანური გრანდის მესვეურები 32 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ სამ მილიონ ევროს გადაიხდიანო. გუშინ, თავად მაურიციომ გადაწყვიტა ჟურნალისტებთან დაკავშირება და შემდეგი კომენტარი გააკეთა:

*"ჩემს "ინტერში" შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით, სტატიებს მეც ვკითხულობ და სიმართლე გითხრათ, ძალიან გაკვირვებული ვარ. მილანიდან არავინ შემხმიანებია და არ ვიცი, რა ტრანსფერზე შეიძლება იყოს ლაპარაკი. ასეც რომ არ იყოს, "უდინეზეში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ და აქედან არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვეთ, წინ დიდი გეგმები გვაქვს და მეც მხოლოდ საწვრთნელ პროცესზე ვარ კონცენტრირებული".*

იტალიის სუპერთასი

## 11 აგვისტოს... პეკინში

ფედერკალჩოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იტალიის სუპერთასის პაექრობა 11 აგვისტოს, ქალაქ პეკინში გაიმართება. ბოლო წლებში, აღნიშნული ტროფეისთვის ბრძოლა სწორედ ჩინეთის დედაქალაქში იმართება და გამონაკლისი არც მოახლოებული ჯახი იქნება.

ერთმანეთის პირისპირ იტალიის ჩემპიონი "იუვენტუსი" და თასის მფლობელი "ნაპოლი" წარდგებიან. ცნობისთვის, ტურინელებს აღნიშნული თასი ოთხჯერ აქვთ მოგებული (1995, 1997, 2002, 2003), ნეაპოლელებს კი მხოლოდ ერთხელ, 1990 წელს. ყველა პროგნოზით, პეკინში ძალიან საინტერესო მატჩი უნდა გაიმართოს და ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ 11 აგვისტოს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ანდრეა პირლო და ედინსონ კავანი ერთმანეთს პეკინში დაეჯახებიან

● საფრანგეთის ნაკრები

# ტირანების დრო

## ვის ჩამოჰყავს მამლები საქართველოში

**გთავაზობთ "ევროსპორტის" ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიას ან უკვე საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის დიდიე დეშამის ირგვლივ ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების შესახებ. ვფიქრობთ, ვლადიმირ შოლკის მსჯელობა საკმაოდ საინტერესოა.**

"ევროსპორტი" მიდის დასკვნამდე, რომ **დიდიე დეშამის** საფრანგეთის ნაკრების თავკაცის პოსტზე დანიშვნას უფრო წინააღმდეგობები უშლიდა ხელს, ვიდრე რეალური კონკურენტები. საფრანგეთისა და ჰოლანდიის ნაკრებებში განვითარებული მოვლენების ანალიზისას კი, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ეს როლი ყოველ ჯერზე უფრო ნაკლებად პრესტიჟული ხდება, რადგან გუნდის თავკაცი უკვე ძალიან ბევრს რისკავს, როცა პოსტს თანხმდება. პირველ რიგში ის საკუთარ პერსპექტივას აყენებს ეჭვქვეშ, რადგან ჩვენს დროში ბევრად უფრო პოპულარულ საკლუბო ფეხბურთში დაბრუნება ამის შემდეგ ძალიან რთულია – განსხვავება ამ ორ "ჟანრს" შორის ძალიან დიდია. მიზეზი №2 ფინანსებია. ესპანეთის ნაკრებში **ვისენტე დელ ბოსკეს** რამდენჯერმე ცოტას უხდიან, ვიდრე **ჟოზე მოურინიოს** "რეალში". თუმცა უნდა ითქვას, რომ ჭაღარა სპეციალისტს კიდევ გაუმართლა, რადგან მისი კოლეგები არცთუ უკანასკნელი ნაკრებებიდან ნამდვილად შენატრიან მის ანაზღაურებას. დიდწილად სწორედ ამ მიზეზის გამო სახელგანთქმული სპეციალისტები საკლუბო კარიერას ანიჭებენ უპირატესობას და ამ გზიდან გადახვევას იშვიათად თუ თანხმდებიან. ზოგიერთს არც კი ხიბლავს იმის პერსპექტივა, რომ შეუძლია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მოსაგებად იბრძოლოს. დაბოლოს, წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში კანდიდატების სიას ის ავიწროებს, რომ საფეხბურთო ფუნქციონერებს არა და არ სურთ ტრადიციის დარღევვა და მხოლოდ "შინაურ" სპეციალისტებს ეძებენ. ამ წესიდან გამონაკლისი არსებობს, მაგრამ რაც უნდა იყოს, "წესი წესია". რეალურად ელიტურ ნაკრებში უცხოელის მიწვევა მხოლოდ იმ დროს ხდება, როცა თავისი კვალიფიციური მწვრთნელები კატასტროფულად აკლიათ – ზუსტად ისე, როგორც ეს ორჯერ ინგლისში გააკეთეს და ერთხელ პორტუგალიაში, სადაც **ლუიშ ფელიპე სკოლარი** 6 წლის განმავლობაში საკმაოდ წარმატებით მუშაობდა.

### მომგებიანი მდგომარეობა

ნამდვილი საფეხბურთო იმპერიები კი ამ ნაბიჯის გადადგმას ერიდებიან. სწორედ ამიტომ არ გვგონია, რომ უახლოეს წლებში ვიხილოთ, როგორ არჩევს საუკეთესო არგენტინელ ფეხბურთელებს გერმანელი, ან იტალიელებს – პოლონელი. სამაგიეროდ, ის, რაც ჰოლანდიაში მოხდა, როცა **ლუის ვან გაალს** პრაქტიკულად ალტერნატივა არ ჰყავდა, დარწმუნებულები ვართ, რომ კიდევ და კიდევ გამეორდება. მსგავსი რამ საფრანგეთშიც უკვე მოხდა. მსგავსება ამ ორ შემთხვევას შორის ძალიან ბევრია და მხოლოდ იმას არ ვგულისხმობთ, რომ ამიერიდან "სამფეროვანთა" თამაშსაც ტირანული მეთოდების მწვრთნელი უხელმძღვანელებს. მთავარი მსგავსება ის არის, რომ მათ ალტერნატივა პრაქტიკულად არ ჰყოლიათ. სწორედ ამ ფაქტორმა განსაზღვრა უკანასკნელი 10-12 დღის მოვლენები. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, დეშამი სარგებლობდა რა, რომ ერთადერთი სრულფასოვანი კანდიდატი გახლდათ, ზეწოლას ახორციელებდა ფედერაციის პრეზიდენტ **ნოელ ლე გრაეზე**, ვინც ის ნაკრების საჭესთან კი მიიპატიჟა, მაგრამ სარფიანი კონტრაქტის შეთავაზება დაავიწყდა. სარფიანი, ბუნებრივია, დიდიეს შეფასებით.

თუმცა, რაც უნდა "ცხელი" დებატები გამართულიყო, მხარეებმა ბოლოს შეთანხმებას ხელი მაინც მოაწერეს - გავრისკავთ და ვიტყვით: მწვრთნელის პირობებით. რისკი, რომ დეშამი შეცდებოდა, მიზერული იყო, რადგან მას ხელთ ისეთი არგუმენტები ეპყრა, რომ ყველაზე მოხერხებულ ფუნქციონერსაც კი მუხლებზე დააყენებდა. მსოფლიოს 2014-ის საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე ლე გრაეს არ ჰქონდა უფლება, საფრანგეთი მსოფლიოს კლასის დამრიგებლის გარეშე დაეტოვებინა. ასეთი კი ამ ქვეყანაში სულ სამია. აქედან ერთი ნაკრებიდან სულ რამდენიმე დღის წასული იყო. მეორის დანიშვნაზე კი შეეძლო არც ეოცნება იმის გათვალისწინებით, რამდენად განუყრელ ცნებებად გადაიქცა **არსენ ვენგერი** და "არსენალი". დიდიეს კი ნამდვილად შეეძლო უარი ეთქვა, რადგან "მარსელში" 3-წლიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ რამდენიმე თვით დასვენება ნამდვილად არ აწყენდა.

### აქ კი ნამდვილი პრობლემები იწყება

როგორც უკვე იცით, დასვენების დრო ნაადრევად გათეთრებულ სპეციალისტს ამ შემოდგომაზე არ ექნება. რელაქსაციის მაგიერ მას, როგორც ჩანს, "სამფეროვანთა" რეორგანიზაცია მოუწევს. ეს კი ნამდვილად დიდი პრობლემა იქნება. ბლანისგან განსხვავებით, რომელსაც უფრო კომბინაციური ფეხბურთი იტაცებდა, დეშამის მუშაობას იტალიური გავლენა ეტყობა. ის შეეცდება, უპირველესად, მეტოქეებს ცხოვრება გაურთულოს. ასე რომ, ზედიზედ 75 ზუსტი პასით რეკორდის დამყარება მისი მიზანი ნამდვილად არ იქნება. დეშამის მიწვევით ლე გრაემ თავი დაიზღვია, ისეთი შემთხვევისგან, რაც საფრანგეთს ევრო 2012-ზე დაემართა, როცა შესარჩევ ეტაპზე ბრწყინვალედ თამაშის შემდეგ ფინალური ეტაპისთვის ბლანმა ფეხბურთელები ისე მოამზადა, რომ მათ ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის მატჩისთვის თამაშის სურვილი დაკარგეს და პლეი ოფში კი სულაც სირბილიც დაავიწყდათ. დეშამის გუნდები ტრადიციულად ამტანობით გამოირჩევიან და არ გვგონია, რომ ფრანგებმა იგივე შეცდომები გაიმეორონ. თუმცა დეშამს თავისი სისუსტეებიც აქვს. "მარსელში" მას ყოველთვის უჭირდა გუნდთან კონტაქტი. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ფეხბურთელთა მორჩილება ძალაუფლების მოყვარული მწვრთნელისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები. სხვათა შორის, ის ამ შემთხვევაშიც ძალიან ჰგავს ვან გაალს. ისე ფრანგს საკუთარ თავში დიპლომატის ნიჭიც რომ აღმოეჩინა, არ იქნებოდა ცუდი. თუნდაც იმიტომ, რომ 2012 წლის შემოდგომაზე უსასრულო სკანდალებით დაღლილი გუნდისთვის მწვრთნელი-მშვიდობისმყოფელი ისეთივე საჭიროა, როგორც მწვრთნელი-მოტივატორი და მწვრთნელი-სტრატეგი.



დიდიე დეშამი ავტორიტარული მეთოდებით გამოირჩევა

● ინტერვიუ. გლენ ჯონსონი

# ოცნება სან სიროზე

**"ლივერპულის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გლენ ჯონსონს მცირე ინტერვიუ ჩამოართვა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.**



**- რომელ სპორტულ ფეხსაცმელს ატარებდით ბავშვობაში?**

- პატარაობაში შავ-თეთრი "პუმა კინგსები" მქონდა.

**- გოლის აღნიშვნა ყველაზე მეტად ვისი მოგწონებიათ?**

- პიტერ კრაუჩის "რობოტი".

**- საუკეთესო გოლი ვის კარში გაიტანეთ?**

- "პორტსმუთის" შემადგენლობაში "ჰალ სიტის" გავუტანე. ის ბურთი 2008/09 წლების სეზონის საუკეთესო გოლად დაასახელეს.

**- მატჩის წინ რაიმე ჩვევა ხომ არ გაქვთ?**

- არა.

**- მარჯვენა მცველებიდან ყველაზე მეტად ვინ მოგწონთ?**

- ალბათ ბარსელონელი დანი ალვეში.

**- რომელ სტადიონზე არ ყოფილხართ ჯერ და სად გინდათ თამაში?**

- "სან სიროზე".

**- ყველაზე უკეთ ვინ იცვამს თქვენი თანაგუნდელებიდან?**

- საკუთარი თავი რომ დავასახელო, შეიძლება? ვცდილობ გავიხსენო, რა ეცვათ ბიჭებს ბოლო პერიოდში... ვირჩევ ჯონჯო შელვის.

**- და ყველაზე ცუდად?**

- სხვა ვარიანტი არც არსებობს - ხოსე ენრიკე. ის ამტკიცებს, რომ ძალიან დიდი რაოდენობით მაღალი ხარისხის ტანსაცმელი აქვს, მაგრამ ეს შეფასება ნამდვილად გადაჭარბებულია.

**- გუნდში ყველაზე მხიარული ვინ არის?**

- ასეთი რამდენიმეა, მაქსი, პეპე... კიდევ გვყავს ხალისიანი ბიჭები.

**- თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტად ვის ისურვებდით საკუთარ რეალითი შოუში?**

- ისევ ხოსე ენრიკეს დავასახელებდი.

**- ვის კონცერტს დაესწარით უკანასკნელად?**

- დიდი ხანია, არც ერთ კონცერტზე აღარ ვყოფილვარ, მაგრამ დავესწარი "მობო ევარდსის" დაჯილდოებას.

**- სკოლაში როცა სწავლობდით, მაშინ თუ გქონდათ სამუშაო?**

- გაზეთების დამტარებლად ვმუშაობდი.

**- ოდესმე თუ გითამაშიათ სასკოლო სპექტაკლებში?**

- დიახ, როცა ჩემს სკოლაში "ოლივერ ტვისტი" დადგეს, გნებავთ დაიჯერეთ, გნებავთ არა, მაგრამ თავად ოლივერს ვთამაშობდი. როლისთვის ერთი სიმღერა უნდა მესწავლა, რომლის ტექსტი სულ მავიწყდებოდა და მასწავლებელი მკარნახობდა. ეს იყო სკოლის დაწყებით საფეხურებზე. მას მერე მსგავს რამეში მონაწილეობა აღარ მიმიღია.

**- უკანასკნელად რომელი ფილმი ნახეთ?**

- მელ გიბსონის "მამაცი გული".

**- არის თუ არა რომელიმე სატელევიზიო გადაცემა, რომელსაც მუდმივად უყურებთ?**

- არა. მე უფრო ძველი კომედიური სატელევიზიო სერიალების ყურებით ვერთობი, მაგალითად "სულელებს უმართლებთ" მიყვარს. ზოგადად ტელევიზორს ნაკლებად ვუყურებ.

**- საუკეთესო ფეხბურთელი, ვისაც მოედანზე შეხვედრიხართ?**

- რონალდინიო.

**- რომელია საუკეთესო გოლი, რომელიც გინახავთ?**

- რობერტო კარლოსის საჯარიმო საფრანგეთთან შეხვედრაში 1997 წელს საფრანგეთში გამართულ ოთხთა ტურნირზე.

**- საუკეთესო სტადიონი, სადაც ოდესმე გითამაშიათ?**

- ბარსელონის "კამპ ნოუ".

● ამბები

### პოლონეთის ახალი თავკაცი

ევრო 2012-ის ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრის დასრულების შემდეგ პოლონეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ფრანტიშეკ სმუდამ** პირდაპირ განაცხადა, რომ ეროვნული გუნდიდან დაუყოვნებლივ მიდიოდა. ფედერაციამ ბევრი იფიქრა თუ ცოტა, "თეთრ-წითლების" ახალ თავკაცად **ვალდემარ ფორნალიკი** დანიშნა. განიხილებოდა ასევე **ეჟი ენგელისა** და **იაცეკ ზელინსკის** კანდიდატურები. ფორნალიკმა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარჯვა. მას 14 ადამიანიდან 11-მა დაუჭირა მხარი. სამმა ხმა ზელინსკის მისცა, ნაკრების ყოფილი თავკაცი ენგელი კი მშრალზე დარჩა.

### ჩიკო ფლორესი სუონსიში

"ჯენოას" 25 წლის მცველი **ჩიკო ფლორესი** შარშან იჯარით "მალიორკაში" თამაშობდა, სადაც მან პრიმერას 33 თამაშში მიიღო მონაწილეობა. იტალიურმა კლუბმა არც წელს მოისურვა მასთან თანამშრომლობა და "სუონსის" 2,5-მილიონიან შეთავაზებას დათანხმდა. ტრანსფერი უკვე დაადასტურა უელსური კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა. *"ძალიან მიხარია აქ ყოფნა, რადგან ვიცი, რომ მოვედი იმ კლუბში, რომელიც ბოლო წლებია განუხრელად იზრდება და აქვს ამბიცია, რომ კიდევ უფრო კარგი შედეგები აჩვენოს,"* – განაცხადა ფეხბურთელმა.

### ჩელსის მესამე შენაძენი

როგორც ინგლისური პრესა იუწყება, "ჩელსიმ" "ინტერნასიონალიდან" 20 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **ოსკარი** შეიძინა. ნიჭიერი ბრაზილიელის გადაბირება "ლურჯებს" 25 მილიონი ფუნტი (31,62 მლნ ევრო) დაუჯდებათ. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონელთა ხარჯებმა ბაზარზე უკვე 67 მილიონ ფუნტს (84,74 მლნ ევრო) უწია, ისინი ტემპის დაგდებას ჯერ კიდევ არ აპირებენ. ოსკარის გადაბირება "მანჩესტერ სიტისა" და "ტოტენჰემსაც" სურდათ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

### ინტერვიუ ნეიმართან

# ვის გამოართმევს ავტოგრაფს ნეიმარი ოლიმპიადაზე

## ნეიმარი მესის არ ახსენებს, ევროპის ჩემპიონატს კი მუნდიალს უტოლებს



**ბოლო ორი წელიწადია, რაც მთელი საფეხბურთო სამყარო ამ ბიჭზე საუბრობს - 20 წლის ნეიმარი ხომ უკვე თავისი კლუბის „სანტოსისა“ და ბრაზილიის ნაკრების ლიდერია. ნეიმარის უახლოესი გეგმა ლონდონის ოლიმპიადას უკავშირდება, სადაც ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილია ერთი დიდი უსამართლობის აღმოფხვრას შეეცდება - ბრაზილიის ნაკრებს ოლიმპიადა არასოდეს მოუგია. რა საკვირველია, ეს ყველაფერი პრელუდიაა 2014 წლის მუნდიალისთვის, რომელიც ნეიმარის სამშობლოში გაიმართება.**

**- ბავშვობაში თუ უყურებდით ოლიმპიურ თამაშებს და თუ შედიოდა თქვენს გეგმებში ლონდონის ოლიმპიადა?**

- ოლიმპიადას ხშირად ვუყურებდი და მხოლოდ საფეხბურთო მატჩებს არა. ჩემი ოცნება მუნდიალზე და ოლიმპიადაზე თამაშია. ოლიმპიურ სოფელში ცხოვრება და პლანეტის დიდ სპორტსმენთა გვერდით ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანი და ამაღელვებელი პერსპექტივაა. ამის გამო ალბათ უდიდეს მოტივაციას ვიგრძნობ ლონდონში.

**- საინტერესოა, ფეხბურთელებს სხვა სახეობის სპორტსმენებთან თუ გექნებათ კონტაქტი?**

- რას ამბობთ, ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ ლებრონ ჯეიმსს და უსაინ ბოლტს, სხვებსაც. ჩათვალეთ, რომ ერთ-ერთ ფანად მივდივარ, უამრავ ფოტოსაც გადავიღებ და ავტოგრაფებსაც ავიღებ.

**- ფიქრობთ, რომ ბრაზილიას ახლა უკეთესი შანსი აქვს გამარჯვების, ვიდრე წინა ოლიმპიადებზე?**

- ჩვენ ყველაფერი მოვიგეთ და ახლა ოლიმპიური ოქრო გვსურს. ბრაზილია ყველგან ფავორიტია, მნიშვნელობა არა აქვს რა ტურნირზე თამაშობს ის. კარგი ნაკრები გვყავს, ძალიან პერსპექტიული, დიდი პოტენციალით.

**- ამხანაგურმა მატჩებმა რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე, ხართ საბრძოლველად მზად?**

- ერთი-ორი მწარე მარცხი ვიგემეთ, 0:2 მექსიკასთან, 3:4 არგენტინასთან. არგენტინელებს ფანტასტიკური გუნდი ჰყავთ და ჩვენ მათ კინაღამ ვაჯობეთ. ახლა ვარჯიშებზე რამდენიმე დეტალის დახვეწა გვმართებს.

**- ალბათ ამ ოლიმპიადაზე თქვენზე ბევრი იქნება დამოკიდებული, მზად ხართ?**

- ვფიქრობ, ნაკრებში ყველა საჭირო ფეხბურთელია და ყველა მნიშვნელოვანი. ჩვენ 18-ივეს გვმართებს ერთად დგომა და გუნდური თამაში, რათა წარმატებას მივაღწიოთ.

**- ამხანაგური მატჩებისას პირველად მოგიწიათ ბრაზილიიდან ამდენი ხნით გასვლამ, არის დიდი სხვაობა?**

- საზღვარგარეთ უფრო მეტი ხალხი მცნობს ქუჩაში. მოედანზე უფრო მეტ ყურადღებას მითმობენ მეტოქეები და თავის გამოჩენაც უფრო ჭირს, მაგრამ ამას აუცილებლად უნდა მივეჩვიო და გუნდისთვის ვიმუშაო.

**- ტვიტერით აღფრთოვანებულმა მიულოცეთ ანდრეს ინიესტას ევრო 2012-ის საუკეთესო ფეხბურთელად გახდომა. ტურნირს თუ უყურეთ და რა შთაბეჭდილება დატოვა ჩემპიონატმა თქვენზე?**

- ისეთივე მაღალი დონის გამოდგა, როგორც მუნდიალი. მხოლოდ ორი რამ აკლდა ევროს: ჩვენი და არგენტინის ნაკრებები. ესპანეთის ნაკრები ძალიან, ძალიან ძლიერია.

> **ევროს მხოლოდ ორი რამ აკლდა: ჩვენი და არგენტინის ნაკრებები.**

**- ხშირად კამათობენ, თქვენს მომავალზე, რა სჯობს კარიერისთვის, ახლავე ევროპაში წასვლა თუ მოცდა?**

- ევროპაში სულ სხვა ფეხბურთია, ბრაზილიაში - სხვა. ევროპულ ფეხბურთს რომ შეეგუო დრო და შრომაა საჭირო.

**- სხვა მოქმედი ფეხბურთელებიდან ვინ მოგწონთ?**

- ძალიან მომწონს ინიესტა, ის სენსაციური ფეხბურთელია. კრიშტიანო რონალდოც ძალიან კარგი ფეხბურთელია და მიყვარს მესუთ იოზილის თამაშის ყურება. გერმანელის დიდი ფანი ვარ.

### რეალი



# რა ელის ლუკას რეალში?

## ჟოზეს ოთხი ვარიანტი ხორვატის ნიჭის გამოსაყენებლად

ლუკა მოდრიჩის მომავალი რეალში ჯერ კიდევ ბუნდოვანია

**მას მერე, რაც მადრიდის „რეალმა“ ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა, 3-წლიანი ზეობის შემდეგ „ბარსელონა“ ტახტიდან ჩამოაგდო, ცხადი იყო, რომ ჟოზე მოურინიო სატრანსფერო სეზონში დიდ ცვლილებებს არ მიმართავდა. ერთი მხრივ, მას ესაჭიროება ახალი სისხლი (თუნდაც, ჩემპიონთა ლიგაზე უკეთ გამოსვლისთვის), მეორე მხრივ, კი დაუშვებელია იმ ბალანსის დარღვევა, რომელიც ახლა გუნდშია და რომელმაც გუნდს ესპანეთის ჩემპიონობა მოუტანა. სწორედ ამიტომაც, სატრანსფერო სპეკულაციებში „რეალთან“ მიმართებაში მხოლოდ ორი მეგავარსკვლავის გვარს ასახელებდნენ - დავიდ სილვას და ლუკა მოდრიჩს. მას მერე, რაც ესპანელმა განაცხადა, რომ „მანჩესტერ სიტისთან“ განშორება არ სურს, ხორვატი პლეიმეიკერი დარჩა „რეალის“ მთავარ სამიზნედ. ამბობენ, სულ მალე ეს ტრანსფერი განხორციელდება კიდევაცო. მოდი, ჩავთვალოთ, რომ 26 წლის დალმატიელი უკვე რეალელია. ზაგრების „დინამოს“ და „ტოტენჰემის“ შემდეგ მან ნახტომი „სამეფო კლუბში“ შეასრულა. რას უქადის ეს ტრანსფერი „რეალს“ და თავად მოდრიჩს? ფაქტია, რომ მოდრიჩი „ტოტენჰემში“ ველარ იზრდება, ამიტომაც მისთვის „რეალი“ დიდი შანსია, გავიდეს ფეხბურთის თამაშის ახალ, უფრო მაღალ ეტაპზე. ხორვატს მხარდამჭერებიც ბევრი ჰყავს და სკეპტიკოსებიც მოეძებნება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მოდრიჩი „რეალის“ დონის ვერაა. რა პოზიციაზე ითამაშებს მოდრიჩი მადრიდში?**

**აქ რამდენიმე ვარიანტია**

### 1. ჩაბი ალონსოს მხარდამხარ

**როგორი იქნება გუნდი**: კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, მარსელო - ჩაბი ალონსო, **მოდრიჩი** - დი მარია, იოზილი, რონალდო - ბენზემა.

**ჩაბი ალონსომ** და **სამი ხედირამ** ამ ორ სეზონში შესანიშნავი დუეტი შექმნეს. მათი ურთიერთშეთანხმება და საიმედოობა იმის გარანტიაა, რომ „რეალის“ 4-კაციან დაცვას ნაკლებად შეაწუხებენ. მაგრამ „ლოს ბლანკოსი“, როგორც წესი, უფრო დაცვითი ტაქტიკის გუნდებს ეთამაშება. ამ დროს კი ორი უფრო დაცვითი ფუნქციის ფეხბურთელის მოცდენა სასტარტოში ხშირად საჭირო არ არის. ამიტომაც, ამ შემთხვევაში შესანიშნავად იმუშავებს ჩაბი ალონსოსა და ხორვატის დუეტი. სხვათა შორის, მოდრიჩი „ტოტენჰემში“ ძირითადად ასეც თამაშობს, მისი პარტნიორი ხშირად ლონდონური კლუბის უფრო დაცვითი ტიპის ნახევარმცველია (**ვილსონ პალასიოსი, სანდრო** ან **სკოტ პარკერი**), სწორედ აქედან აკეთებს ხშირად „ბოლო პასს“ ლუკა. ალონსო იმავე როლს შეასრულებს, მოდრიჩი კი გაცილებით მეტს შექმნის შეტევაში, ვიდრე ხედირა, განსაკუთრებით უფრო ძლიერი კლუბების წინააღმდეგ. ამასთან, გუნდის დაცვის ხაზი კვლავ კარგად იქნება დაცული.

### 2. სამკაციანი ნახევარდაცვის წევრად

**როგორი იქნება გუნდი**: კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, მარსელო - ჩაბი ალონსო, ხედირა, **მოდრიჩი** - იოზილი, ბენზემა, რონალდო.

ამ სისტემაში მოდრიჩი ისევ ბასკის გვერდითაა, ოღონდ მოურინიოს ეძლევა საშუალება, გუნდი 4-3-3-ზე გადაანყოს. ეს ტაქტიკური სქემა მოურინიოს უყვარს, მაგრამ „რეალში“ ვერ იყენებს. მოუს შეეძლო შარშან ექსპერიმენტების ჩატარება, ალონსო, ხედირა და **ნური შაჰინის** შემადგენლობით. მაგრამ ეს ტრიო მაინც უფრო ერთი ყაიდის ფეხბურთელებისგან შედგება, თანაც თურქი ხშირად ავადმყოფობდა. მაგრამ მოდრიჩს აქ ექსტრა შესაძლებლობები შეუძლია შესთავაზოს მწვრთნელს. ის შეიძლება იყოს უფრო აგრესიული, ვიდრე ხედირა და უფრო კრეატიული, ვიდრე შაჰინი. ამ სისტემის გამოყენება უპრიანია ჩემპიონთა ლიგაზე, ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგ, რადგან უკეთესად აბალანსებს დაცვასა და თავდასხმას. ამ შემთხვევაში ხედირა ბურთს მოუპოვებს გუნდს, ალონსო სიღრმეში შეითავსებს პლეიმეიქერობას, მოდრიჩი კი შესაფერის გაგრძელებებს შესთავაზებს წინა ხაზს.

### 3. პლეიმეიქერად

**როგორი იქნება გუნდი**: კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, მარსელო - ჩაბი ალონსო, ხედირა - იოზილი, **მოდრიჩი**, რონალდო - ბენზემა.

თუკი მოურინიო მოდრიჩის დაყენებას შემტევ ნახევარმცველად აპირებს, ხორვატს 11-ეულში მოსახვედრად დიდი ბრძოლა გადახდება. **კრიშტიანო რონალდოს** გარანტირებული აქვს ადგილი მარცხენა ფრთაზე, ამაზე უკეთ მოდრიჩს არც იფიქრონ, ხოლო **მესუთ იოზილი** და **ანხელ დი მარია** პორტუგალიელს ძალიან კარგად ავსებენ დანარჩენ ორ პოზიციაზე. თუმცა დი მარია არასტაბილურია და ხშირად იღებს ტრავმებს, დიდი გუნდების წინააღმდეგ არგენტინელს თავის გამოჩენა უჭირს. ასე რომ, შეიძლება დი მარია შეეწიროს ამ სისტემას, ხოლო იოზილმა მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლოს. შესაძლოა, მოდრიჩმა და იოზილმა პოზიციებიც ცვალონ. ბოლოსდაბოლოს, „რეალის“ ყველაზე სუსტი წერტილი მარჯვენა ფლანგია, რადგან **ალვარო არბელოა** ისეთი ინტენსივობით ვერ უტევს მარჯვენა მცველის პოზიციიდან, როგორც ეს მოურინიოს სურს.

### 4. სუპერშემცვლელად

**როგორი იქნება გუნდი**: კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, მარსელო - ჩაბი ალონსო*, ხედირა* - დი მარია*, იოზილი*, რონალდო* - ბენზემა.

* - მათ შემცვლელად **მოდრიჩი**

მოდრიჩი მეტისმეტად ძვირი ჯდება საიმისოდ, რომ მოურინიომ ის სათადარიგოთა სკამზე დასვას, თუმცა არც ამ ვარიანტს გამოვრიცხავთ. სინამდვილეში, ხორვატს ამ შემთხვევაშიც „რეალში“ დიდი როლის დაკისრება შეუძლია, მას ხომ ერთბაშად ხუთი კაციდან ერთ-ერთის შეცვლა შეუძლია ნებისმიერ წამს. ჟოზეს უყვარს შუა თამაშში ტაქტიკური სქემების აღრევა და მოდრიჩზე კარგ შემსრულებელს სად ნახავს?

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ვერდერი

# როგორც იქნა: იუვე ელიას შეელია!

## ვერდერი და იუვენტუსი 5.5+2 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ და ელჯერო უკვე ბრემენშია



ელჯერო ელია ვერდერმა ოფიციალურად წარადგინა

უსაშველოდ განელილ ტრანსფერს ბოლოს ბოლო ძალიან სწრაფად მოეღო: ტურინის „იუვენტუსმა“ ჰოლანდიელ გარემარბ **ელჯერო ელიას** ბრემენის „ვერდერისკენ“ მწვანე შუქი საბოლოოდ და ოფიციალურად გუშინ აუნთო, მერე კი გარიგება გერმანელებმაც დაადასტურეს.

„ვერდერს“ 25 წლის ელიას წარდგენა ჯერ კიდევ გუშინწინ ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ „იუვენტუსის“ ხელმძღვანელებმა მოლაპარაკები უკიდურესად გაწელეს და თითოეულ ცენტს გამოეკიდნენ, რის გამოც შეთანხმება მხოლოდ გუშინღა შედგა. თავად „ვერდერი“ და ელია დიდი ხნის შეთანხმებულები იყვნენ და ბოლოს მოლაპარაკებები მხოლოდ ბრემენელებსა და ტურინელებს შორისღა მიდიოდა. საბოლოო დეტალები კი ასეთია: „იუვე“ „ვერდერისგან“ 5.5 მილიონ ევროს ახლავე მიიღებს და თუ ელჯერომ ბრემენში იმედები გაამართლა, „მუსიკოსებს“ ტურინელებისთვის კიდევ 2 მილიონი ექნებათ გადასახდელი. ხელშეკრულებაში კონკრეტულად ასე წერია: თუ „ვერდერი“ ელიასთან ერთად მინიმუმ ევროპალიგის საგზურს მოიპოვებს, „იუვენტუსი“ კიდევ 2 მილიონს მიიღებს.

*„ელჯერო ელიას შავ-თეთრი თავგადასავალი დასრულებულია,“* - წერდა გუშინ დილას „იუვენტუსის“ ოფიციალური ვებ-გვერდი, რაც კლუბებს შორის საბოლოო შეთანხმების დასტური იყო. ჰოლანდიელს „ვერდერში“ სამედიცინო შემოწმება ორშაბათს ჰქონდა გავლილი, მაგრამ გუნდთან ერთად ჯერ არ ვარჯიშობდა, რადგან ამისათვის „იუვეს“ თანხმობა იყო საჭირო. ელჯერომ ბრემენელებთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ის „ვერდერის“ რიგით მეშვიდე ახალწვეულია.

### მხოლოდ 107 წუთი იუვენტუსში

*„მიხარია, რომ ბუნდესლიგაში დაბრუნების საშუალება მომეცა. იტალიაში თავს კარგად არ ვგრძნობდი და წამოსვლა მინდოდა. დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიაში ძველებურად ავთამაშდები და ჰოლანდიის ნაკრებშიც დამაბრუნებენ,“* - განაცხადა ელიამ, რომელსაც ჰოლანდიის ეროვნულ გუნდში 26 მატჩი აქვს ჩატარებული, მაგრამ „ნარინჯისფრებში“ 2011 წლის ოქტომბრის შემდეგ აღარ უასპარეზია – „იუვენტუსში“ სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა და ნაკრებშიც აღარ იძახებდნენ.

გერმანიაში კი ელიას მართლაც კარგად იცნობენ, რადგან ელჯერო საფეხბურთო ევროპამ „ჰამბურგიდან“ გაიცნო, სადაც 2009-დან 2011 წლამდე თამაშობდა. ტურინელებმა ელია შარშან სწორედ „ჰამბურგიდან“ იყიდეს და მასში 9 მილიონი ევრო გადაიხადეს. თუმცა ელჯერომ „იუვენტუსის“ ფორმა სერია A-ში მხოლოდ ოთხჯერ, იტალიის თასზე კი ერთხელ მოირგო. საერთო ჯამში, მან „იუვეს“ ფეხბურთელის რანგში მოედანზე ოდენ 107 წუთი გაატარა.

საინტერესოა, როგორ ითამაშებს ნიჭიერი ჰოლანდიელი „ვერდერში“, სადაც „იუვეს“ თავკაც **ანტონიო კონტეზე** გაცილებით ლოიალურ სპეციალისტთან, **თომას შააფთან** ექნება საქმე. აღსანიშნავია, რომ ელიას „ვერდერში“ ძველი ნაცნობი დახვდა – ელჯერო და **მარკო არნაუტოვიჩი** „ტვენტეში“ თანაგუნდელები იყვნენ.

ამბები




# ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა ვან გაალს უარი შეუთვალა

ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა** „ნარინჯისფრების“ ახალი მთავარი მწვრთნელის, **ლუის ვან გაალის** ასისტენტობაზე უარი განაცხადა. *„ეს შემოთავაზება ჩემთვის დიდი პატივია, მაგრამ „ფეიენოორდში“ დარჩენა მირჩევნია,“* - უთხრა 37 წლის ვან ბრონკჰორსტმა ჩვენს ჰოლანდიელ კოლეგებს.

ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ამჟამად როტერდამული კლუბის მთავარი მწვრთნელის, **რონალდ კუმანის** ასისტენტად მუშაობს, რომელიც ასევე მოიაზრებოდა ნაკრების დამრიგებლის პოსტზე. შეგახსენებთ, რომ ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა სანაკრებო კარიერა 2010 წლის მუნდიალის შემდეგ დაასრულა.

# ვან დერ ვაარტი: შალკეს ნაცვლად ისევ ჰამბურგი?

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ „შალკემ“ **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ტრანსფერზე ხელი ჩაიქნია – გელზენკირხენული კლუბის ბოსმა **კლემენს ტიონიესმა** თქვა, „ტოტენჰემი“ ჰოლანდიელს ძალიან ძვირად აფასებს, ჩვენ კი ამდენის გადახდას არ ვაპირებთო.

სამაგიეროდ, ვან დერ ვაარტზე სერიოზულად ფიქრობენ „ჰამბურგში“, სადაც რაფაელი ერთხელ უკვე თამაშობდა. ჩრდილოგერმანული კლუბის სპორტული დირექტორის, **ფრანკ არნესენის** თქმით, ეს უკანასკნელი „ტოტენჰემისგან“ ნიშანს ელოდება და როგორც კი მიიღებს, მაშინვე დაიწყებს მოლაპარაკებებს. ამასობაში, ინგლისური გაზეთი „ივნინგ სტანდარდი“ წერს, რომ „სპურზის“ ახალ თავკაც **ანდრე ვილაშ ბოაშს** ვან დერ ვაარტი არ სჭირდება და მზადაა, დაინტერესებული გუნდების წინადადებები მოისმინოს.


რაფაელ ვან დერ ვაარტი

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ჰამბურგი

# ჰამბურგი რუდის იმედზეა

## ლატვიელ გოლეადორს გერმანიაში უკვე ფიოლერს ადარებენ

თვეზე მეტია, რაც 24 წლის **არტიომ რუდნევსი** „ჰამბურგის“ ფეხბურთელი გახდა და ჩრდილოგერმანული კლუბის გულშემატკივრები მასზე უკვე უდიდეს იმედებს ამყარებენ. ფანები და თანაგუნდელები მას „რუდის“ ეძახიან, რაც ლატვიელი ფორვარდისთვის უდიდესი პატივია, რადგან გერმანიაში ასე მხოლოდ ლეგენდარულ თავდამსხმელ **რუდი ფიოლერს** მოიხსენიებდნენ.

რუდნევსმა „ჰამბურგში“ **მლადენ პეტრიჩი** უნდა შეცვალოს, რაც საკმაოდ მძიმე ტვირთია. „ფულჰემში“ უფასოდ გადასული ხორვატი თავდამსხმელი ხომ HSV-ს პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელი იყო. მართალია, ჯერ მხოლოდ ტესტმატჩებში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ამ ეტაპზე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ „რუდი“ იმედებს ამართლებს – უკანასკნელ ამხანაგურ შეხვედრაში, რომელიც ჰამბურგელებმა 10:0 მოიგეს (ცილერტალის ნაკრებთან), პოლონური „ლეხიდან“ 3.5 მილიონ ევროდ შეძენილმა რუდნევსმა ჰეთ-თრიკი შეასრულა.

*„დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთანაც წარმატებული გოლეადორი იქნება, რადგან უდიდესი მონდომებით ვარჯიშობს და ძალიან ბეჯითი ბიჭია,“* - ამბობს „ჰამბურგის“ სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი**. *„დიდი ხანი არაა, რაც ჩვენთან ვარჯიშობს და უკვე ძალიან მომწონს,“* - დასძენს მთავარი მწვრთნელი **ტორსტენ ფინკი**.

### 22 გოლი პოლონეთის ჩემპიონატში

გასულ სეზონში რუდნევსმა პოლონეთის ჩემპიონატში 22 გოლის გატანა მოახერხა და საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ახლა კი ბუნდესლიგაში ცდის ბედს. ლატვიელი ცენტრფორვარდი, რომელიც HSV-ში საპასუხისმგებლო, 10-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, ამბობს, ვიცი, რომ აქ ბევრი გოლი უნდა გავიტანო და ყველაფრისთვის მზად ვარო. რუდნევსის თქმით, მისი მთავარი პლუსები საგოლე ალღო და სირბილის სიყვარულია.

*„ვამაყობ იმით, რომ ვარ პირველი ლატვიელი, რომელიც „ჰამბურგში“ მოხვდა და იმედია, ჩემს პატარა ქვეყანას აქ იდეალურად წარმოვაჩენ. ჩვენ ახალგაზრდული გუნდი გვყავს, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს,“* - აცხადებს რუდნევსი.

გასულ სეზონში ჰამბურგელები პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოდნენ და ელიტიდან გავარდნას ბოლოსღა გადაურჩნენ. ეს იმის ბრალიც იყო, რომ თავდამსხმელები ვერ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. თავად განსაჯეთ: გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ზემოთ ხსენებული პეტრიჩი გახდა, რომელმაც მთელ სეზონში მხოლოდ 7 გოლის გატანა შეძლო, მეორე ადგილზე კი პერუელი ფორვარდი **პაულო გერერო** გავიდა 6 გოლით. შედარებისთვის: ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირმა **კლაას-იან ჰუნტელაარმა** 29 გოლის გატანა მოახერხა.

ახლა „ჰამბურგს“ რუდნევსი ჰყავს და მთელი ქალაქი მის იმედზეა.



არტიომ რუდნევსზე ჰამბურგში უდიდეს იმედებს ამყარებენ



## უცხოური ფეხბურთი

ესპანეთის ჩემპიონატი 2012-13

# პრიმერა დივიზიონის კალენდარი

### I ტური. 18-19 აგვისტო
ბარსელონა-სოსიედადი
ლევანტე-ატლეტიკო
ბილბაო-ბეტისი
სარაგოსა-ვალიადოლიდი
რეალი-ვალენსია
სელტა-მალაგა
სევილია-ხეტაფე
მალიორკა-ესპანიოლი
რ. ვალეკანო-გრანადა
დეპორტივო-ოსასუნა

### II ტური. 25-26 აგვისტო
ვალიადოლიდი-ლევანტე
ესპანიოლი-სარაგოსა
მალაგა-მალიორკა
სოსიედადი-სელტა
ოსასუნა-ბარსელონა
ვალენსია-დეპორტივო
ხეტაფე-რეალი
გრანადა-სევილია
ბეტისი-რ. ვალეკანო
ატლეტიკო-ბილბაო

### III ტური. 1-2 სექტემბერი
ბეტისი-ატლეტიკო
სარაგოსა-მალაგა
მალიორკა-სოსიედადი
სელტა-ოსასუნა
ბარსელონა-ვალენსია
დეპორტივო-ხეტაფე
რეალი-გრანადა
რ. ვალეკანო-სევილია
ლევანტე-ესპანიოლი
ბილბაო-ვალიადოლიდი

### IV ტური. 8-9 სექტემბერი
ატლეტიკო-რ. ვალეკანო
ვალიადოლიდი-ბეტისი
ესპანიოლი-ბილბაო
მალაგა-ლევანტე
სოსიედადი-სარაგოსა
ოსასუნა-მალიორკა
ვალენსია-სელტა
ხეტაფე-ბარსელონა
გრანადა-დეპორტივო
სევილია-რეალი

### V ტური. 15-16 სექტემბერი
ატლეტიკო-ვალიადოლიდი
ბეტისი-ესპანიოლი
ბილბაო-მალაგა
ლევანტე-სოსიედადი
სარაგოსა-ოსასუნა
მალიორკა-ვალენსია
სელტა-ხეტაფე
ბარსელონა-გრანადა
დეპორტივო-სევილია
რ. ვალეკანო-რეალი

### VI ტური. 22-23 სექტემბერი
ვალიადოლიდი-რ. ვალეკანო
ესპანიოლი-ატლეტიკო
მალაგა-ბეტისი
სოსიედადი-ბილბაო
ოსასუნა-ლევანტე
ვალენსია-სარაგოსა
ხეტაფე-მალიორკა
გრანადა-სელტა
სევილია-ბარსელონა
რეალი-დეპორტივო

### VII ტური. 6-7 ოქტომბერი
ვალიადოლიდი-ესპანიოლი
ატლეტიკო-მალაგა
ბეტისი-სოსიედადი
ბილბაო-ოსასუნა
ლევანტე-ვალენსია
სარაგოსა-ხეტაფე
მალიორკა-გრანადა
სელტა-სევილია
ბარსელონა-რეალი
რ. ვალეკანო-დეპორტივო

### VIII ტური. 20-21 ოქტომბერი
ესპანიოლი-რ. ვალეკანო
მალაგა-ვალიადოლიდი
სოსიედადი-ატლეტიკო
ოსასუნა-ბეტისი
ვალენსია-ბილბაო
ხეტაფე-ლევანტე
გრანადა-სარაგოსა
სევილია-მალიორკა
რეალი-სელტა
დეპორტივო-ბარსელონა

### IX ტური. 27-28 ოქტომბერი
ესპანიოლი-მალაგა
ვალიადოლიდი-სოსიედადი
ატლეტიკო-ოსასუნა
ბეტისი-ვალენსია
ბილბაო-ხეტაფე
ლევანტე-გრანადა
სარაგოსა-სევილია
მალიორკა-რეალი
სელტა-დეპორტივო
რ. ვალეკანო-ბარსელონა

### X ტური. 3-4 ნოემბერი
მალაგა-რ. ვალეკანო
სოსიედადი-ესპანიოლი
ოსასუნა-ვალიადოლიდი
გრანადა-ბილბაო
სევილია-ლევანტე
რეალი-სარაგოსა
დეპორტივო-მალიორკა
ბარსელონა-სელტა
ვალენსია-ატლეტიკო
ხეტაფე-ბეტისი

### XI ტური. 10-11 ნოემბერი
მალაგა-სოსიედადი
ესპანიოლი-ოსასუნა
ვალიადოლიდი-ვალენსია
ატლეტიკო-ხეტაფე
ბეტისი-გრანადა
ბილბაო-სევილია
ლევანტე-რეალი
სარაგოსა-დეპორტივო
მალიორკა-ბარსელონა
რ. ვალეკანო-სელტა

### XII ტური. 17-18 ნოემბერი
სოსიედადი-რ. ვალეკანო
ოსასუნა-მალაგა
ვალენსია-ესპანიოლი
ხეტაფე-ვალიადოლიდი
გრანადა-ატლეტიკო
სევილია-ბეტისი
რეალი-ბილბაო
დეპორტივო-ლევანტე
ბარსელონა-სარაგოსა
სელტა-მალიორკა

### XIII ტური. 24-25 ნოემბერი
ვალიადოლიდი-გრანადა
ატლეტიკო-სევილია
ბეტისი-რეალი
ბილბაო-დეპორტივო
ლევანტე-ბარსელონა
სარაგოსა-სელტა
რ. ვალეკანო-მალიორკა
სოსიედადი-ოსასუნა
მალაგა-ვალენსია
ესპანიოლი-ხეტაფე

### XIV ტური. 1-2 დეკემბერი
ბარსელონა-ბილბაო
სელტა-ლევანტე
მალიორკა-სარაგოსა
ოსასუნა-რ. ვალეკანო
ვალენსია-სოსიედადი
ხეტაფე-მალაგა
გრანადა-ესპანიოლი
სევილია-ვალიადოლიდი
რეალი-ატლეტიკო
დეპორტივო-ბეტისი

### XV ტური. 8-9 დეკემბერი
ოსასუნა-ვალენსია
სოსიედადი-ხეტაფე
მალაგა-გრანადა
ესპანიოლი-სევილია
ვალიადოლიდი-რეალი
ატლეტიკო-დეპორტივო
ბეტისი-ბარსელონა
ბილბაო-სელტა
ლევანტე-მალიორკა
რ. ვალეკანო-სარაგოსა

### XVI ტური. 15-16 დეკემბერი
ვალენსია-რ. ვალეკანო
ხეტაფე-ოსასუნა
გრანადა-სოსიედადი
სევილია-მალაგა
რეალი-ესპანიოლი
დეპორტივო-ვალიადოლიდი
ბარსელონა-ატლეტიკო
სელტა-ბეტისი
მალიორკა-ბილბაო
სარაგოსა-ლევანტე

### XVII ტური. 21-22 დეკემბერი
ბეტისი-მალიორკა
ბილბაო-სარაგოსა
რ. ვალეკანო-ლევანტე
ვალენსია-ხეტაფე
ოსასუნა-გრანადა
სოსიედადი-სევილია
მალაგა-რეალი
ესპანიოლი-დეპორტივო
ატლეტიკო-სელტა
ვალიადოლიდი-ბარსელონა

### XVIII ტური. 5-6 იანვარი
რ. ვალეკანო-ხეტაფე
გრანადა-ვალენსია
სევილია-ოსასუნა
რეალი-სოსიედადი
დეპორტივო-მალაგა
ბარსელონა-ესპანიოლი
სელტა-ვალიადოლიდი
მალიორკა-ატლეტიკო
სარაგოსა-ბეტისი
ლევანტე-ბილბაო

### XIX ტური. 12-13 იანვარი
ხეტაფე-გრანადა
ვალენსია-სევილია
ოსასუნა-რეალი
სოსიედადი-დეპორტივო
მალაგა-ბარსელონა
ესპანიოლი-სელტა
ვალიადოლიდი-მალიორკა
ატლეტიკო-სარაგოსა
ბეტისი-ლევანტე
ბილბაო-რ. ვალეკანო

### XX ტური. 19-20 იანვარი
სოსიედადი-ბარსელონა
ატლეტიკო-ლევანტე
ბეტისი-ბილბაო
ვალიადოლიდი-სარაგოსა
ვალენსია-რეალი
მალაგა-სელტა
ხეტაფე-სევილია
ესპანიოლი-მალიორკა
გრანადა-რ. ვალეკანო
ოსასუნა-დეპორტივო

### XXI ტური. 26-27 იანვარი
ლევანტე-ვალიადოლიდი
სარაგოსა-ესპანიოლი
მალიორკა-მალაგა
სელტა-სოსიედადი
ბარსელონა-ოსასუნა
დეპორტივო-ვალენსია
რეალი-ხეტაფე
სევილია-გრანადა
რ. ვალეკანო-ბეტისი
ბილბაო-ატლეტიკო

### XXII ტური. 2-3 თებერვალი
ატლეტიკო-ბეტისი
მალაგა-სარაგოსა
სოსიედადი-მალიორკა
ოსასუნა-სელტა
ვალენსია-ბარსელონა
ხეტაფე-დეპორტივო
გრანადა-რეალი
სევილია-რ. ვალეკანო
ესპანიოლი-ლევანტე
ვალიადოლიდი-ბილბაო

### XXIII ტური. 9-10 თებერვალი
რ. ვალეკანო-ატლეტიკო
ბეტისი-ვალიადოლიდი
ბილბაო-ესპანიოლი
ლევანტე-მალაგა
სარაგოსა-სოსიედადი
მალიორკა-ოსასუნა
სელტა-ვალენსია
ბარსელონა-ხეტაფე
დეპორტივო-გრანადა
რეალი-სევილია

### XXIV ტური. 16-17 თებერვალი
ვალიადოლიდი-ატლეტიკო
ესპანიოლი-ბეტისი
მალაგა-ბილბაო
სოსიედადი-ლევანტე
ოსასუნა-სარაგოსა
ვალენსია-მალიორკა
ხეტაფე-სელტა
გრანადა-ბარსელონა
სევილია-დეპორტივო
რეალი-რ. ვალეკანო

### XXV ტური. 2?-24 თებერვალი
რ. ვალეკანო-ვალიადოლიდი
ატლეტიკო-ესპანიოლი
ბეტისი-მალაგა
ბილბაო-სოსიედადი
ლევანტე-ოსასუნა
სარაგოსა-ვალენსია
მალიორკა-ხეტაფე
სელტა-გრანადა
ბარსელონა-სევილია
დეპორტივო-რეალი

### XXVI ტური. 2 მარტი
ესპანიოლი-ვალიადოლიდი
მალაგა-ატლეტიკო
სოსიედადი-ბეტისი
ოსასუნა-ბილბაო
ვალენსია-ლევანტე
ხეტაფე-სარაგოსა
გრანადა-მალიორკა
სევილია-სელტა
რეალი-ბარსელონა
დეპორტივო-რ. ვალეკანო



პირველი კლასიკო 7 ოქტომბერს გაიმართება

### XXVII ტური. 9-10 მარტი
რ. ვალეკანო-ესპანიოლი
ვალიადოლიდი-მალაგა
ატლეტიკო-სოსიედადი
ბეტისი-ოსასუნა
ბილბაო-ვალენსია
ლევანტე-ხეტაფე
სარაგოსა-გრანადა
მალიორკა-სევილია
სელტა-რეალი
ბარსელონა-დეპორტივო

### XXVIII ტური. 16-17 მარტი
მალაგა-ესპანიოლი
სოსიედადი-ვალიადოლიდი
ოსასუნა-ატლეტიკო
ვალენსია-ბეტისი
ხეტაფე-ბილბაო
გრანადა-ლევანტე
სევილია-სარაგოსა
რეალი-მალიორკა
დეპორტივო-სელტა
ბარსელონა-რ. ვალეკანო

### XXIX ტური. 30-31 მარტი
რ. ვალეკანო-მალაგა
ესპანიოლი-სოსიედადი
ვალიადოლიდი-ოსასუნა
ბილბაო-გრანადა
ლევანტე-სევილია
სარაგოსა-რეალი
მალიორკა-დეპორტივო
სელტა-ბარსელონა
ატლეტიკო-ვალენსია
ბეტისი-ხეტაფე

### XXX ტური. 6-7 აპრილი
სოსიედადი-მალაგა
ოსასუნა-ესპანიოლი
ვალენსია-ვალიადოლიდი
ხეტაფე-ატლეტიკო
გრანადა-ბეტისი
სევილია-ბილბაო
რეალი-ლევანტე
დეპორტივო-სარაგოსა
ბარსელონა-მალიორკა
სელტა-რ. ვალეკანო

### XXXI ტური. 13-14 აპრილი
რ. ვალეკანო-სოსიედადი
მალაგა-ოსასუნა
ესპანიოლი-ვალენსია
ვალიადოლიდი-ხეტაფე
ატლეტიკო-გრანადა
ბეტისი-სევილია
ბილბაო-რეალი
ლევანტე-დეპორტივო
სარაგოსა-ბარსელონა
მალიორკა-სელტა

### XXXII ტური. 20-21 აპრილი
გრანადა-ვალიადოლიდი
სევილია-ატლეტიკო
რეალი-ბეტისი
დეპორტივო-ბილბაო
ბარსელონა-ლევანტე
სელტა-სარაგოსა
მალიორკა-რ. ვალეკანო
ოსასუნა-სოსიედადი
ვალენსია-მალაგა
ხეტაფე-ესპანიოლი

### XXXIII ტური. 27-28 აპრილი
ბილბაო-ბარსელონა
ლევანტე-სელტა
სარაგოსა-მალიორკა
რ. ვალეკანო-ოსასუნა
სოსიედადი-ვალენსია
მალაგა-ხეტაფე
ესპანიოლი-გრანადა
ვალიადოლიდი-სევილია
ატლეტიკო-რეალი
ბეტისი-დეპორტივო

### XXXIV ტური. 4-5 მაისი
ვალენსია-ოსასუნა
ხეტაფე-სოსიედადი
გრანადა-მალაგა
სევილია-ესპანიოლი
რეალი-ვალიადოლიდი
დეპორტივო-ატლეტიკო
ბარსელონა-ბეტისი
სელტა-ბილბაო
მალიორკა-ლევანტე
სარაგოსა-რ. ვალეკანო

### XXXV ტური. 11-12 მაისი
რ. ვალეკანო-ვალენსია
ოსასუნა-ხეტაფე
სოსიედადი-გრანადა
მალაგა-სევილია
ესპანიოლი-რეალი
ვალიადოლიდი-დეპორტივო
ატლეტიკო-ბარსელონა
ბეტისი-სელტა
ბილბაო-მალიორკა
ლევანტე-სარაგოსა

### XXXVI ტური. 18-19 მაისი
მალიორკა-ბეტისი
სარაგოსა-ბილბაო
ლევანტე-რ. ვალეკანო
ხეტაფე-ვალენსია
გრანადა-ოსასუნა
სევილია-სოსიედადი
რეალი-მალაგა
დეპორტივო-ესპანიოლი
სელტა-ატლეტიკო
ბარსელონა-ვალიადოლიდი

### XXXVII ტური. 28-29 მაისი
ხეტაფე-რ. ვალეკანო
ვალენსია-გრანადა
ოსასუნა-სევილია
სოსიედადი-რეალი
მალაგა-დეპორტივო
ესპანიოლი-ბარსელონა
ვალიადოლიდი-სელტა
ატლეტიკო-მალიორკა
ბეტისი-სარაგოსა
ბილბაო-ლევანტე

### XXXVIII ტური. 1 ივნისი
გრანადა-ხეტაფე
სევილია-ვალენსია
რეალი-ოსასუნა
დეპორტივო-სოსიედადი
ბარსელონა-მალაგა
სელტა-ესპანიოლი
მალიორკა-ვალიადოლიდი
სარაგოსა-ატლეტიკო
ლევანტე-ბეტისი
რ. ვალეკანო-ბილბაო

თანამემამულენი

# 16 წლის გიორგი პატარაიას დიდი წარმატებები

## მსოფლიოს ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში და პირველი სტუმრობა მამისეულ ლესაში

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესაში წლების წინ **თემურ პატარაია** მშობლებთან და დედმამიშვილებთან ერთად ცხოვრობდა. სკოლის დასრულების შემდეგ გადაწყვიტა რუსეთში წასულიყო. მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა. მან მოსკოვში მომავალი მეუღლე გაიცნო და იქვე დარჩა საცხოვრებლად. ჰყავს 16 წლის შვილი გიორგი, რომელიც საქართველოში პირველად ჩამოვიდა. ის უკვე აღიარებული სპორტსმენია. ტანვარჯიშში 12 ოქროს მედალი აქვს მოპოვებული, მათ შორის ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონის. „მისი ყოველდღიური ცხოვრება საკმაოდ დატვირთულია. ვარჯიშები, კვების სპეციალური რაციონი, უცხოეთში შეჯიბრებებზე სიარული საკმაოდ შრომატევადია, მაგრამ სასიამოვნოა, როცა ქართველი ასეთ დიდ წარმატებას აღწევს" - გვითხრა ბატონმა თემურმა.

„ლელოს" გიორგი და მისი მშობლები მოსკოვური ცხოვრების შესახებ და შვილის წარმატებებზე ესაუბრნენ.

**თემურ პატარაია, გიორგის მამა:**

- სოფელ ლესაში დავიბადე და გავიზარდე. სკოლაც აქ დავამთავრე. შემდეგ მოსკოვში წავედი იქვე შევქმენი ოჯახი. გვყავს ერთი შვილი გიორგი, რომელმაც ტანვარჯიშში 3 წლის ასაკიდან დაიწყო ვარჯიში და საკმაოდ წარმატებული სპორტსმენია. მისით ძალიან ვამაყობ. მან თითქმის ყველა დონის შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და წარმატებებს მიაღწია. 3 დღე თბილისში ვიყავით და ძალიან მოეწონა აქაურობა. ლესაც მოეწონა, კარგი სოფელიაო. ნათესავებიც უფრო ახლოს გაიცნო. რუსეთში სპორტის ამ სახეობას დიდი ყურადღება ექცევა. როდესაც ბავშვები შეჯიბრებებზე მიდიან, გზის ფულის ძებნა და საბუთების მოწესრიგება ოჯახს არ აწევს კისერზე. ყველაფერს შესაბამისი სამსახური აგვარებს. ჩემი გიორგი იყო ესპანეთში, ბულგარეთში, პოლონეთსა და აშშ-ში. ბუნებრივია, ამდენი საშუალება ჩვენ არ გვექნებოდა, მაგრამ სპორტული სკოლა, სადაც ის სწავლობს, ყველა საკითხს აგვარებს. ვაპირებ თუ არა საქართველოში დაბრუნებას? მინდა, მაგრამ მიშოვით სამუშაოს?! აქ რომ დავრჩენილიყავი, დღესაც თოხი და ბარი მეჭირებოდა ხელში. იმიტომ წავედი, რომ უკეთესი ცხოვრების პირობები მქონოდა. გიორგის მიწვევაც ბევრი აქვს. კანადასა და ამერიკაში საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას სთავაზობდნენ. ჯერჯერობით, არსად ვაპირებთ წასვლას, მოსკოვში ვრჩებით. ქართული ცოტა იცის, ჩემს მეუღლესაც ეხერხება. ის უფრო დეტალურად მოგიყვებათ გიორგის წარმატებაზე, რადგან მის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად არის ჩართული. თან იმ სპორტსკოლის დირექტორის მოადგილეა, სადაც გიორგი ვარჯიშობს.



გიორგი პატარაია

**სვეტა პატარაია, გიორგის დედა:**

- ძალიან ლამაზი ქვეყანაა საქართველო. წლების წინათ აქ უფრო ხშირად ჩამოვდიოდით. „პუტიოვკებს" ვიღებდით და ხან ბათუმში ვისვენებდით და ხან - სოხუმში. ცნობილი მოვლენების შემდეგ სოხუმში აღარ ჩავსულვარ, რაზეც ძალიან მწყდება გული. ქართველებს და რუსებს რა გვაქვს გასაყოფი. ერთმორწმუნე ერები ვართ, თანაც მეზობლები და სიამტკბილობით უნდა ვცხოვრობდეთ. ჩემი შვილი ვარჯიშიდან ღამით ბრუნდება ხოლმე, მაგრამ არ მაქვს შიში, რომ ვინმე გააჩერებს და ეტყვის, რომ შენ ქართველი ხარო და ჩხუბს დაუწყებს. ჩვენთან ჩამოდიან სხვადასხვა ეროვნების ხალხი და მუშაობას იწყებენ, ზოგი საცხოვრებლადაც რჩება, ოჯახს ჰქმნის. ჩემი თემური მაგალითია ამისი. ძალიან მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ ქართველი მეუღლე მყავს. იმედი მაქვს, რომ დღეს არსებული დაძაბულობა მალე მოიხსნება და ყველაფერი ძველებურად იქნება. გიორგის მწვრთნელი არის ქართველი - ვალოდია გურგენიძე. ძალიან ძლიერი სპეციალისტია, გიორგის პატარაობიდანვე ავარჯიშებს, ამავდროულად რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

**გიორგი პატარაია:**

- აქაურობა ძალიან მომეწონა და პირობას ვიძლევი, რომ შემდეგი ჩამოსვლისას ქართული უკეთ მეცოდინება. 12-გზის რუსეთის ჩემპიონი ვარ. ასევე მოვიგე დაღუპული კოსმონავტის - ვოლკოვის საერთაშორისო ტურნირის მთავარი პრიზი. საზღვარგარეთ პირველად 13 წლისა გავემგზავრე. ეს იყო პორტუგალიის ქალაქი პორტო. ჩემს მეწყვილესთან ერთად, რომელიც იყო 11 წლის, დავიკავე მეორე ადგილი. პირველი ადგილიც გვეკუთვნოდა, მაგრამ პოლიტიკა ჩაერთო სპორტში და ჟიურის გადაწყვეტილებით ის ინგლისელს მიაკუთვნეს. შემდეგ ვიყავი პოლონეთში, სადაც პირველი ადგილი დავიკავე. გასულ წლის შემოდგომაზე ვიყავი ბულგარეთში და მოვიპოვე მეორე ადგილი. შემდეგ იყო ამერიკა, სადაც გაიმართა იუნიორთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატი და იქ გავიმარჯვე."

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

სუმო. ნაგოიას ბაშო. 8-22 ივლისი

# ტოჩინოშინის პირველი მარცხი, გაგამარუს პირველი გამარჯვება

ნაგოიას ბაშოს მესამე დღეს პირველად დამარცხდა აღმოსავლეთის მე-4 მაეგაშირა **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)**. 24 წლის ქართველს ცაცია **ტაკეკაძემ** აჯობა მძლავრი მიწოლით. ტოჩინოშინს 2-1 ბალანსი აქვს და დღეს მძიმეწონოსან **ტოიოჰიბიკის** ხვდება. სამაგიეროდ, ბაშოზე პირველი გამარჯვება იზეიმა მე-7 მაეგაშირა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**. 200-კილოიანმა ქართველმა **ტაკაიასუ** დოჰიოდან მაყურებელთა დარბაზში მოისროლა. დღეს გაგამარუ (1-2) ტოჩინოშინის დამმარცხებელ ტაკეკაძეს დაუდგება. ძურიოს დივიზიონში მეორედ მოიგო **კოკაიმ (ლევან ცაგურია)**.



ბაშოზე დაუმარცხებლად ასპარეზობს დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო**, თუმცა ასეთი კიდევ 9 რიკიშია.

**III დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ამინიშიკი (ჰატაკიკომი), ბარუტო-ოკინოუმი (უვატენაგე), ჰარუმაფუჯი-ტოჩიოძანი (შიტატენაგე), კოტოოშუ-ვაკაკოიუ (იორიტაოში), მიოგირიუ-კაკურიუ (ოშიდაში), კისენოსატო-კიოკუტენჰო (იორიკირი), აოიამა-კოტოშოგიკუ (კოტენაგე), გოეიდო-ტოიონოშიმა (ცუკიოტოში), არანი-შოჰოზანი (ცუკიდაში), ტაკეკაძე-**ტოჩინოშინი** (ოშიდაში), **გაგამარუ**-ტაკაიასუ (ოშიდაში). **ძურიო: კოკაი**-იოშიაზუმა (მაკიოტოში).

**IV დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-აოიამა, ჰარუმაფუჯი-კიოკუტენჰო, კოტოოშუ-შოჰოზანი, კაკურიუ-ტოიონოშიმა, კისენოსატო-ამინიშიკი, კოტოშოგიკუ-ოკინოუმი, ბარუტო-გოეიდო, ტოჩიოძანი-მიოგირიუ, ვაკაკოიუ-შოტენრო, **გაგამარუ**-ტაკეკაძე, **ტოჩინოშინი**-ტოიოჰიბიკი. **ძურიო: კოკაი**-ჩიონოკუნი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი



# მასპინძლებს ათიანეებში უჭირთ

ქუთაისში გრძელდება 8-12 წლის მოჭადრაკეთა ევროპის თასის გათამაშება. გუშინ მე-5 ტურის პარტიები გაიმართა.

**8-წლიან** გოგონებში უდანაკარგოდ მეწინავეობს ნია დონღვანი, რომელმაც გუშინ ლილე გუმბერიძეს აჯობა. ლიდერს ქულით ჩამორჩება და მე-2 ადგილზე გადაინაცვლა დიანა ლომაიამ, რომელმაც პირველ ტურში სწორედ დონღვანთან წააგო, შემდეგ კი ზედიზედ ოთხ პარტიაში მიაღწია წარმატებას. ასევე, 4-4 ქულა აქვთ ლილე გუმბერიძესა და ნადეჟდა ხაჩატრიანს (სომხეთი). ბიჭებში 5 ქულა აქვს ნიკოლოზ კაჭარავას, 4.5 - ნიკოლოზ კევლიშვილს. ექვსმა მოჭადრაკემ 4-4 ქულა მოაგროვა.

**10-წლიან** გოგონებში 4,5-4,5 ქულით ზეინაბ ისმაილზადა (აზერბაიჯანი) და ანასტასია სიდამონიძე უდგანან სათავეში გათამაშების ცხრილს. 4-4 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს თამარ ესაძე და თამარ ლაგაზაური ინაწილებენ. ამ ასაკის ბიჭებში აზერბაიჯანელმა აბდულა გადიმბაილიმ 5 ქულას მოუყარა თავი. ნახევარი ქულით რუსი არტიომ ტრუბჩანინოვი ჩამორჩება.

**12-წლიან** გოგონებში ლიდერი ჩვენებურია - ნინო ჯალაღონიამ კონკურენტ ნატა ჯიბუტს სძლია და 4,5 ქულა მოაგროვა. ნახევარი ქულით ნაკლები აქვს მარიამ წამალაშვილს. 3,5-3,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებზე გვანცა მარგველაშვილი და სომხები - ანი ივანიანი და მარიამ ავეტისიანი მოდიან. ბიჭებში 4,5 ქულით ერთპიროვნულად გურამ კოკაია დაწინაურდა. ერთბაშად 5 მოჭადრაკეს 4-4 ქულა აქვს. მათ შორის სამი ქართველია, თითო - რუსი და სომეხი.

დღეს მე-6 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

# მარგველაშვილი ლიდერებშია

ესპანურ ბენასკეში მოჭადრაკეთა 32-ე საერთაშორისო ტურნირმა 29 ქვეყნის 400-ზე მეტ წარმომადგენელს მოუყარა თავი. მათ შორის - 35 დიდოსტატს. ხუთი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ხუთი მოჭადრაკე მეწინავეობს. ესენი არიან: ჩვენი თანამემამულე **გიორგი მარგველაშვილი**, ინგლისელი გავან ჯონსი, რუმინელი მიხაილ მარინი, ისრაელიდან - თამირ ნაბატი და დან ზოლერი, რომლებმაც მე-5 ტურში, შესაბამისად, ანხელ არიბასი (ესპანეთი), რენიერ როდრიგეს კასტელანოსი (ესპანეთი), სერხიო გარზა (ესპანეთი), თვან ბურგი (ჰოლანდია) და ჩიბაუთ მაენჰუტი (ბელგია) დაამარცხეს.

ქართველთაგან, მარგველაშვილის გარდა, ტურნირში მონაწილეობენ **თორნიკე სანიკიძე** და **კონსტანტინე შანავა**.

მე-5 ტურში სანიკიძე მარიო ხუან გომესს (ესპანეთი) დაუზავდა, ხოლო შანავამ შავი ფიგურებით ალბერტო მარტინს სძლია. ორივე ქართველმა დიდოსტატმა 4-4 ქულას მოუყარა თავი და ლიდერებს თითო ქულით ჩამორჩებიან.

ესპანეთშივე ქალაქ ბარბერას 35-ე საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობს დიდოსტატი ლევან აროშიძე. 6 ტურის შემდეგ მას 3,5 ქულა აქვს და ლიდერები - მაქსიმ ტუროვი (რუსეთი), ხოსე გარსია გონსალესი (მექსიკა) და დანიელ ალსინა (ესპანეთი) ჩვენებურს 1,5-1,5 ქულით უსწრებენ.

**ვაჟა დანელია**

# ნახევარი ქულა არ ეყო

ფილადელფიაში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. ცხრა შესაძლებლიდან 7 ქულით მთავარი პრიზი - 12.926 დოლარი ჰოლანდიელმა ივან სოკოლოვმა დაისაკუთრა. ამდენივე ქულა მოაგროვა ამერიკელმა ალექსანდრ შაბალოვმა, რომელსაც უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი და 12.673 დოლარი ერგო. შვიდმა მოჭადრაკემ, მათ შორის - **გიორგი ყაჭეიშვილმა**, 6,5-6,5 ქულა მოაგროვა. თითოეულს 1.484-1.484 დოლარი ხვდა. **მიხეილ კეკელიძეს** 6-მა ქულამ მე-16 ადგილი და 636 დოლარი მოუტანა, ხოლო **თამაზ გელაშვილი** (21-ე), რომელმაც ბოლო ორ ტურში მონაგარს მხოლოდ ნახევარი ქულა შესძინა, საბოლოოდ 5,5 ქულით უპრიზოდ დარჩა.

**ვაჟა დანელია**



ქართული სპორტი

მძლეოსნობა



ბაჩანა ხორავა

# ალმათიდან ორი ვერცხლით

ერთადერთი ქართველი მძლეოსანი **ბაჩანა ხორავა** (მწვრთნელი **ანდრო ბედუკაძე**) მონაწილეობდა ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქ ალმათიში გუსმან კასანოვის 22-ე საერთაშორისო მემორიალში. 17 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. სპრინტერულ დისტანციებზე 19 წლის ქართველმა მორბენალმა ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა: 100 მეტრზე 10.89 წამით დაიკავა მეორე ადგილი - 0,28 წამით მასპინძელმა ვოლოდინმა აჯობა. 200 მეტრი ჩვენებურმა 21,77 წამში დაფარა და კვარცხლბეკზე აქაც მეორე იყო - მხოლოდ ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატმა ირანელმა (20,84) გაუსწრო.

ბაჩანა ხორავამ მძლეოსნობაში ვარჯიში მშობლიურ ჩხოროწყუში დაიწყო **ბუთხუზ ხორავას** ხელმძღვანელობით, მერე ზუგდიდში **რევაზ ბუკია** ამეცადინებდა, ბოლო ორი წელიწადია, ანდრო ბედუკაძესთან იმაღლებს ოსტატობას. დიდ სარბიელზე პირველ წარმატებას 2010 წელს მიაღწია - მოსკოვის ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი მოიგო 100 მეტრზე რბენაში, მერე თანატოლებს ორჯერ აჯობა აზერბაიჯანის ღია პირველობებზე სპრინტერულ დისტანციებში. საქართველოს ოთხგზის ჩემპიონმა წლეულს ალმათიში ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირზე 100 მეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა.

- მართალია, პირად შედეგებს ხშირად ვაუმჯობესებ და მედლებსაც ვიხვეჭ, თუმცა მიღწეულით უკმაყოფილო ვარ, რადგან უმთავრესი ვერ შევძელი - ახალგაზრდებში წლევანდელი მსოფლიოს პირველობის საგზური ვერ მოვიპოვე. არადა, ორჯერ ახლოს ვიყავი მიზანთან - სალიცენზიო ნორმატივების შესასრულებლად ცოტა დამაკლდა. ეროვნულ სტადიონზე 100 მეტრი 10,75 წამში გავირბინე, მაგრამ საგზურისთვის 0,1 წამი არ მეყო. ახლახან ყაზახეთში პირქარმა შემიშალა ხელი და ბარსელონისთვის განკუთვნილ ნორმატივს 0,22 წამით ჩამოვრჩი, - მითხრა ბაჩანამ "დინამო-არენაზე" ვარჯიშის შემდეგ.

- მონდომებული ყმაწვილია, მუყაითი, ყველა დავალებას დაუზარებლად ასრულებს, - მითხრა ბატონმა ანდრომ. - ამიტომ მჯერა, რომ ბაჩანა მნიშვნელოვან ტურნირებზე არაერთხელ გვასახელებს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

## ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიით და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებით და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება".
ხუან ანტონიო სამარანჩი

## ზაფხულის XXVIII ოლიმპიური თამაშები, 2004 წ. ათენი, 13-29 აგვისტო

ATHENS 2004

ათენში დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციაში ირიცხებოდა 33 სპორტსმენი, რომელთა წილად მოდის 2 ოქროს და ამდენივე ვერცხლის მედალი. დღეს წარმოგიდგენთ საქართველოდან ათენის ოლიმპიადის 16 მონაწილეს. მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში პირველად ამ თამაშებში გამოდიოდა ქვეყნების სარეკორდო რაოდენობა - 201; სარეკორდო იყო ოლიმპიელთა რიცხვიც - 11 099. თამაშების პროგრამით სპორტის 28 სახეობაში გათამაშდა ოლიმპიური მედლების 301 კომპლექტი. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ძიუდოისტი ზურაბ ზვიადაური.



ზურაბ ზვიადაური (ძიუდო) - დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი



გიორგი ასანიძე (ძალოსნობა) - I



ნესტორ ხერგიანი (ძიუდო) - II



რამაზ ნოზაძე (ბ/რ ჭიდაობა) - II



დავით მარგოშვილი (ძიუდო) - V



დავით პოლოსიანი (თ. ჭიდაობა) - V



ირაკლი ჭოჭუა (ბ/რ ჭიდაობა) - VI



დავით ქევხიშვილი (ძიუდო) - VII



ნინო სალუქვაძე (ტყვ. სროლა) - VII, X



ელდარ კურტანიძე (თ. ჭიდაობა) - VIII



რუსუდან ხოფერია (ბატუტზე ხტომა) - IX



აკაკი ჩაჩუა (ბ/რ ჭიდაობა) - IX



ივერი ჯიქურაული (ძიუდო) - IX




რევაზ მინდორაშვილი (თ. ჭიდაობა) - XIII



ალექსი მოდებაძე (თ. ჭიდაობა) - XIV



გელა სალირაშვილი (თ. ჭიდაობა) - XIV

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი" /ზაურ ბოლქვაძე/

● ლიცენზიატი

# ზურაბ დათუნაშვილის ახდენილი ოცნება

**ზურაბ დათუნაშვილი:** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (74კგ).
**დაიბადა:** 1991 წლის 18 ივლისს თბილისში.
მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ახალგაზრდებში (2011); ევროპის მესამე პრიზიორი ახალგაზრდებში (2011); დან კოლოვისა და ნიკოლა პეტროვის მემორიალის მესამე პრიზიორი (2012), ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის გამარჯვებული (2012); საქართველოს ვიცე-ჩემპიონი (2012).
**მწვრთნელი:** ვილიამ ხარაზოვი.
**ჰობი:** ჭიდაობა.
ოლიმპიადის დებიუტანტი



## დებიუტანტი მწირი გამოცდილებით

**ზურაბ დათუნაშვილი** არა მხოლოდ მოჭიდავეთა ნაკრებებში, არამედ მთლიანად ქართულ ოლიმპიურ დელეგაციაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და გამოუცდელი სპორტსმენია - ჯერ არც ევროპის პირველობაზე უასპარეზია, არც - მსოფლიოზე, ისე მოხვდა ოლიმპიადაზე. ის ჯერ კიდევ შარშან ახალგაზრდულ ნაკრებში ჭიდაობდა, წლეულს კი სადებიუტო სეზონშივე მოიპოვა ლიცენზია სოფიაში. ის შეჯიბრება მისთვის მეორე იყო ეროვნულ ნაკრებში - მანამდე ისევ ბულგარეთში „დან კოლოვისა და ივან პეტროვის მემორიალზე" იჭიდავა. სოფიის შემდეგ კიდევ ერთხელ გამოვიდა უფროსთა შორის - თვის დასაწყისში დორტმუნდში „გერმანიის დიდ პრიზზე" გამოვიდა და სულ ესაა მისი გამოცდილება, ამ მწირი სამტურნირიანი მარაგით მიდის ოლიმპიადაზე.

თითქოსდა დებიუტანტობა არ ეყოფოდა, ლონდონშიც ჩვენი გუნდიდან პირველი მას უწევს ასპარეზობა - ბერძენ-რომაელები ტურნირს 5 აგვისტოს იწყებენ, ამ დღეს 55 და 74 კილოგრამის ფალავნები გამოდიან და რადგან 55-ში მონაწილე არ გვყავს, ჩვენგან დათუნაშვილს მოუწევს გახსნის მთელი ფსიქოლოგიური სიმძიმის გადატანა.

ჯერჯერობით დათუნაშვილის ძირითადი შედეგები ახალგაზრდულ ნაკრებზე მოდის, სადაც შარშან კარგი სეზონი ჩაატარა - ევროპის ჩემპიონატზე მესამეზე გავიდა, მსოფლიოზე კი ვერცხლი მოიპოვა.

## კარიერის უცნაური ზიგზაგები

მისი სპორტული კარიერა ცოტა უცნაურად წარიმართა - როგორც წესი, ბავშვების უმეტესობა ფეხბურთზე გიჟდება და დღემუდამ ბურთს დასდევს. ისიც ჯერ ფეხბურთზე მივიდა, მაგრამ ცოტა ხანში ჭიდაობაზე გადაინაცვლა. ცხადია, საფეხბურთო ილეთები მასაც ხიბლავდა, რალაცით ფინტებიც იზიდავდა, მაგრამ იგრძნო, რომ მის ხასიათში უფრო ჭიდაობა იჯდა, როგორც უფრო კონტაქტური, უფრო დინამიკური სპორტი, სადაც ლამაზი ილეთები ბევრად უფრო ხშირად კეთდებოდა. მას სწორედ ეს დინამიკა, საჭიდაო ილეთების სილამაზე იზიდავდა და ამიტომ მოედნიდან დარბაზში გადაინაცვლა. საინტერესოა, რომ ორივე ეს გადაწყვეტილება თავად მიიღო, უფროსთა ჩარევის გარეშე. არადა, მამა მორაგბე ჰყავს და დიდი შანსი იყო, სულაც ოვალური ბურთი შეეჩეჩებინათ ხელში. დღეს ყველა მადლობელია, რომ პატარა ბავშვმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და საავიაციო ქარხნის ტერიტორიაზე **ვილიამ ხარაზოვს** მიაკითხა.

## მებრძოლი ბიჭი

დათუნაშვილი დამოუკიდებელი, საკმაოდ მიზანსწრაფული, მტკიცე ნერვების პატრონია. ეს თუნდაც იქიდანაც გამოჩნდა, რომ არ შეუშინდა ისეთი ტიტულოვანი მეტოქის კონკურენციას, როგორიც ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **მანუჩარ კვირკველიას** კონკურენციაა, წყნარად, მშვიდად აკეთებდა თავის საქმეს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა ნაკრებისკენ. ბევრი მის ადგილას გატყდებოდა, მაგრამ არა ის! პირიქით - კონკურენცია სტიმულს აძლევს: *„კონკურენცია კარგია - ამ დროს უფრო იზრდები, ხოლო თუ მისი გეშინია, ვერაფერს მიაღწევ. რაც უფრო ძლიერია კონკურენტი, მასთან მოგება მეტი სტიმულია, მეტი შემართებით ჭიდაობ, ვარჯიშებზეც უფრო მოტივირებული ხარ".*

დათუნაშვილის ხასიათი კარგად გამოჩნდა ახალი, საჭიდაო სამყაროსთვის უცნობი ილეთის დამუშავებაშიც. ეს უცნაური გდება, რომელიც მეტოქეზე... თავზე აკრობატულ სტილში გადახტომით, ვარდნაში კეთდება, პირველად შარშან იხილა მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე, როცა ამერიკელმა **ელის კოლემანმა** ირანელ მეტოქეს თავბრუ დაახვია. თბილისში დაბრუნებულმა როცა ამ გდების დამუშავება განიზრახა, დარბაზში მის სურვილს ყველა სკეპტიკურად შეხვდა, მაგრამ მან იცოდა თავისი საქმე, ჰქონდა მიზანი და დიდი სურვილიც მის განსახორციელებლად. ამიტომ ყურადღება არ მიაქცია სკეპტიკოსებს და გულმოდგინედ შეუდგა ახალი ილეთის დამუშავებას. მარცხიც განიცადა, გაუჭირდა კიდეც, რამდენჯერმე არც გამოუვიდა, მაგრამ ხელი არ ჩაუქნევია, ვარჯიში გააგრძელა და სანადელს მაინც მიაღწია. მართალია, ჯერ კოლემანივით დახვეწილად ვერ აკეთებს - კაცის სიმაღლეზე ახტომა კი დაამუშავა, მაგრამ ვარდნისას კომბინაციაში მეტოქის დატრიალებას ვერ ახერხებს, ცოტა დაყოვნება და ილეთის უფრო კარგად დამუშავება სჭირდება, მაგრამ სოფიაში პირველივე ცდაზე დიდწილად ამ ფანდით მოიპოვა საგზური. იქ ეს უცნაური ილეთი უნგრელ ევროპის ჩემპიონ **პეტერ ბასცისთან** გამოიყენა და არათუ ჩამორჩენა აღმოფხვრა, მოიგო კიდეც. *„დავინახე, რომ იმ მომენტში მეტოქე ცოტა მოხრილი იდგა, ამ ილეთის გაკეთება კი ზუსტად მაგ დროსაა მიზანშეწონილი. ამიტომ გავექანე, ავხტი და თავზეც გადავახტი. საბედნიეროდ, გამომივიდა, თუმცა სარისკო ფანდიცაა. მიმაჩნია, რომ თუ არ აგებ, გარისკვად არ ღირს"* - იგონებს დათუნაშვილი.

## ოლიმპიადა - ახდენილი ოცნება

ასაკის სიმცირის გამო ჯერ დათუნაშვილმა ბევრი ოცნება ვერ აიხდინა, თუმცა ოლიმპიადა გამონაკლისია. ჯერ კიდევ შარშან ბევრი ვერ იფიქრებდა ლონდონში მის წასვლას და ამას იქნებ რეალურად არც თავად ელოდა, მაგრამ არც ხელი ჩაუქნევია. *„ოლიმპიადა ჩემი ოცნება იყო და ვიცოდი, ძნელი იქნებოდა იქ მოხვედრა, მაგრამ მაინც ვფიქრობდი, რომ შანსი მქონდა. მიხარია, რომ ჩანაფიქრი გამოვიდა. ეს ჩემთვის თვისებრივად ახალი ტურნირია, მაგრამ განწყობა ისევ ისეთია, როგორიც სხვა შეჯიბრებებზე - საბრძოლო. ვემზადები, როგორც სხვა. დროს და არ ვფიქრობ, რომ რალაც განსხვავებული უნდა ვიჭიდაო"* - ამბობს ის.

დათუნაშვილი ამ წონაში ჯერ იქნებ ბევრს არ შეხვედრია, მაგრამ მთავარი კონკურენტების ვინაობა უკვე იცის - რუსთა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **რომან ვლასოვი**, მსოფლიოს ვიცე და ევროპის სომეხი ჩემპიონი **არსენ ჯულფალაკიანი** და თურქი მსოფლიოს ორგზის გამარჯვებული **სელჯუკ ჩები**. აი, ამ სამეულს მიიჩნევს ძირითად კონკურენტად, თუმცა ანგარიშს სხვებსაც უწევს.

**ირაკლი თავაძე**

● ჩოგბურთი

# იტალიაში, საფრანგეთში, თურქეთში

**წინა** კვირას ქართველმა ჩოგბურთელმა **ანა ტატიშვილმა** იტალიაში ბიელას 100 000-იან საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა. ანა აპენინებზე დარჩა და პალერმოს ქალთა 220.000-იან საერთაშორისო ტურნირში ჩაება.

გუშინ ძირითადი ბადის პირველ წრეში ბულგარელ დია ევტიმოვას ორ სეტში იოლად მოუგო 6:2, 6:2. ჩვენებური წყვილებში ესპანელ ესტელა კაბეზასთან ერთად პირველ წრეში მარია კონდრატიევა და სოფი დეფერის რუს-ფრანგულ დუეტს დაუპირისპირდება.

საფრანგეთში ბიარიცის 100.000-იან ტურნირში ჩაება **სოფიო შაფათავა.** მან სტარტი კვალიფიკაციიდან აიღო, სადაც ზედიზედ სძლია მასპინძლებს - კამილ მაისონავსა (6:2, 6:4) და ამანდინ ჰესს (6:4, 7:5). გუშინ ძირითადი ბადის პირველ წრეში კი მათ თანამემამულე ვირჯინია რასანოსთან დამარცხდა - 4:6, 6:2, 1:6.

წყვილებში შაფათავა რუს ანგელინა გაბუევთან ერთად იბრძოლებს მთავარი პრიზისთვის. პირველ წრეში ისინი კიმ-ალისა გრაიდეკსა (გერმანია) და ამანდინ ჰესს (საფრანგეთი) უნდა დაპირისპირებოდნენ, მაგრამ ფრანგის ტრავმის გამო უბრძოლველად გავიდნენ მეოთხედფინალში.

ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატი **მაკა ჩახნაშვილი** ბელგიის 25.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში მე-7 ნომრად იყო განთესილი. ასპარეზობის სტარტზე იგი მეტოქეობდა მასპინძელ შტეფი დისტელმანსს, რომელმაც ძირითად ბადეში თამაშის უფლება კვალიფიკაციიდან მიიღო. სამწუხაროდ, ჩვენებურმა ეს ორთაბრძოლა ორ სეტში დათმო - 2:6, 1:6

სტამბოლის 10.000-იან ტურნირში ჩაებნენ **თამარ ჭალაგანიძე, ანი გოგვაძე** და **ნათია გეგია.** ჭალაგანიძემ საკვალიფიკაციოში ოლგა პარის აზკუტიასთან (ესპანეთი) წააგო 3:6, 3:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა. ანი გოგვაძე ძირითად ბადეში დამარცხდა იულია სტამატოვასთან (ბულგარეთი) - 2:6, 5:7. გეგიას ერთეულებში ჯერ არ უთამაშია. წყვილებში კი აზერბაიჯანელ კამილა ფარჰადისთან ერთად ანი გოგვაძისა და კემრე ანილის (თურქეთი) დუეტთან დამარცხდა - 0:6, 6:1, 9:11.

**ვაჟა დანელია**



სოფიო შაფათავა



● ახალგაზრდული ევრობასკეტი 2012







ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

# დავით უსტიაშვილი: ვიბრძოლებთ ბოლომდე

**გუშინ გამართული ღია ვარჯიშის შემდეგ ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა დავით უსტიაშვილმა ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა. მას პირველ რიგში, მიზნებზე ვკითხეთ.**

- როგორც ყოველთვის, 20-წლამდელთა ნაკრების მიზანი ეროვნული გუნდისთვის კალათბურთელთა მომზადებაა. ბიჭები ევროპის ძლიერ ნაკრებებთან ჭიდილში გამოიწრთობიან, რაც მთავარ ნაკრებში გადასვლის შემთხვევაში ძალიან გამოადგებათ.

**- ჯგუფში მთავარი ამოცანა, ალბათ მესამე ადგილის დაკავებაა...**

- არ გვაქვს ესპანეთის ძლევის ილუზია. ეს გუნდი ხომ შეჯიბრების ფავორიტია. 20 წლის ასაკის კალათბურთელები უკვე უმაღლეს ლიგებში თამაშობენ. ესპანეთის პირველობაზე გამოცდილ მოთამაშეს ნამდვილად ექნება ამა თუ იმ ახალგაზრდული ჩემპიონატის მოგების პრეტენზია. ლატვიის ნაკრების სამი წევრი გასულ სეზონში გამოდიოდა ბალტიის ლიგაზე, რომელიც მაღალი დონის შეჯიბრებაა. ესპანეთს ვერ სჯობს, მაგრამ თურქეთის ჩემპიონატი ევროპაში ერთ-ერთი გამორჩეულია. ვეცდებით ესპანეთთან, ლატვიასთან და თურქეთთან ჭიდილში რესურსი მაქსიმალურად გამოვიყენოთ და კალათბურთელებმა შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინონ.

**- ისრაელის შემდეგ ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარეთ ესტონეთში. ორივეში დამარცხდით...**

- პირველ შეხვედრაში დიდი სხვაობით წავაგეთ. გუნდებს შორის ნამდვილად არ იყო ისეთი სხვაობა, რაც ანგარიშმა გამოაჩინა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგზავრობის შემდეგ, იმავე დღეს მოგვიწია თამაშმა, დაღლილები ვიყავით. მეორე შეხვედრა შედარებით უკეთესად ვითამაშეთ, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ სადღეისოდ ესტონელებს ჩვენზე უკეთესი გუნდი ჰყავთ.

**- საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს რომელ რგოლში აქვს ყველაზე მეტი პრობლემა?**

- წინა ხაზში. თუ აქამდე 210 სმ-ს მიღწეული კალათბურთელები გვყავდა, დღეს ასეთი სიმაღლისანი აღარ არიან. ამას ემატება ტრავმები. ისრაელთან მეორე მატჩისას ფეხი გადაუბრუნდა ავთო ლომინაშვილს, რომელიც ესტონეთში, მეორე შეხვედრაში სწორედ ტრავმის გამო არ ვათამაშე. სლოვენიაში გამგზავრების წინა ვარჯიშზე კოჭი იტკინა ბექა ბურჯანაძემ. რამდენად სერიოზულია ტრავმა, ხვალ შევიტყობთ.

**- თურქეთსა და ესპანეთს 210 სმ-ს გადაცილებული ორ-ორი კალათბურთელი ჰყავთ. რას დაუპირისპირებთ მათ?**

- წინასწარ ცხადია, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა მეტოქეთა მეფარეების განეიტრალება იქნება. ამაზე ვმუშაობთ... ჩვენი მხრივ, ვეცდებით პერიმეტრიდან შევუტიოთ, რაზეც ამხანაგურ შეხვედრებშიც ვამახვილებდით ყურადღებას. ვეცდებით თითოეულ მეტოქეს დიდი ბრძოლა გავუმართოთ, რაც, პირველ რიგში, ჩვენს მოთამაშეებს გამოცდილებას შემატებს. ჩემპიონატის მსვლელობისას მხოლოდ სამი თამაშის ჩატარება როდი მოგვიწევს, ვეცდებით ნელ-ნელა ყველა კალათბურთელს მივცეთ სათამაშო დრო, რათა კარგად შეიგრძნონ, რას ნიშნავს ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა.

იმედიანადაა ნაკრების უკანახაზელი **გიორგი ტეტელაშვილი:**

- კარგი შეკრება გავიარეთ. შესათამაშებლად საკმარისი დრო გვქონდა. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. უნდა მოვინდომოთ და მაქსიმუმი გავაკეთოთ, რათა ევროპის ჩემპიონატზე ღირსეულად გამოვიდეთ. ძლიერი მეტოქეები გვყავს და მოდუნებას არავინ გვაპატიებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ევროპის ჩემპიონატი 2012

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

# ევროპისკენ პერი, პერი!

## ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა

დღეს გამთენიისას, 4 საათზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა. გუნდი ჯერ მიუნხენში ჩაფრინდება, საიდანაც სამხრეთისკენ დაეშვება და ახალგაზრდული ევროპირველობის მასპინძელ სლოვენიაში დაბანაკდება. კონტინენტის პირველობას 12–დან 22 ივლისის ჩათვლით სამი ქალაქი, ლიუბლიანა, დომჟალე და კრასნა გორა უმასპინძლებს. იმ ჯგუფის თამაშები, რომელშიც ქართველები არიან, დომჟალეში გაიმართება. ჩვენი 20-წლამდელები ჯგუფში ესპანეთის, თურქეთისა და ლატვიის გუნდებთან მოხვდნენ.

ჯგუფიდან 3 საუკეთესო გადის, რომლებიც მეორე ჯგუფურ ეტაპზე გააგრძელებენ ბრძოლას. ბოლოზე გასული ნაკრები კი პლეი აუტში ტურნირის მე-12-16 ადგილებისთვის იბრძოლებს. საინტერესოა, რომ ელიტიდან გავარდნა წლეულს არც ერთ ნაკრებს არ ემუქრება, რადგან 2013 წლისთვის 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე გუნდების რაოდენობა 16-დან 20-მდე უნდა გაიზარდოს.

საქართველოს ნაკრებმა მოსამზადებელ ეტაპზე 4 საკონტროლო მატჩი გამართა - თბილისში ორჯერ ისრაელს დაუპირისპირდა, ორჯერაც ესტონეთში მასპინძელ თანატოლებს შეხვდა.

20-წლამდელთა ნაკრების ოთხი წევრი - დუდა სანაძე, მერაბ ბოქოლიშვილი, ოთარ ფხაკაძე და რევაზ როგავა ეროვნულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი და 22 ივლისს, ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ავსტრიაში იგორ კოკოშკოვის გუნდს შეუერთდებიან.

### ახალგაზრდული ევროპა-2012

**A ჯგუფი:** სერბეთი, საფრანგეთი, გერმანია, ჩერნოგორია.

**B ჯგუფი:** საბერძნეთი, უკრაინა, რუსეთი, ესტონეთი.

**C ჯგუფი:** თურქეთი, ესპანეთი, ლატვია, საქართველო.

**D ჯგუფი:** სლოვენია, იტალია, ლიტვა, შვედეთი.

| C ჯგუფის კალენდარი | |
|---|---|
| **12 ივლისი** | |
| 18:15 | თურქეთი-ესპანეთი |
| 20:30 | ლატვია-საქართველო |
| **13 ივლისი** | |
| 16:00 | საქართველო-თურქეთი |
| 20:30 | ესპანეთი-ლატვია |
| **14 ივლისი** | |
| 16:00 | თურქეთი-ლატვია |
| 18:15 | საქართველო-ესპანეთი |

**ვაჟა სიმონიშვილი**

*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები*



**ირაკლი ალხანაიძე**
დაიბადა: 23.01.1992
პოზიცია: ცენტრი
სიმაღლე: 201 სმ
გუნდი: დინამო



**ლევან ელიაძე**
დაიბადა: 13.12.1992
პოზიცია: ფორვარდი
სიმაღლე: 196 სმ
გუნდი: ბათუმი



**ზურაბ მაჩალაძე**
დაიბადა: 15.08.1992
პოზიცია: ფორვარდი
სიმაღლე: 198 სმ
გუნდი: სტუ



**დუდა სანაძე**
დაიბადა: 25.07.1992
პოზიცია: ფორვარდი
სიმაღლე: 196 სმ
გუნდი: დინამო



**მერაბ ბოქოლიშვილი**
დაიბადა: 27.02.1992
პოზიცია: უკანახაზელი
სიმაღლე: 198 სმ
გუნდი: შსს აკადემია



**გოგა ჯავახიშვილი**
დაიბადა: 08.06.1992
პოზიცია: ცენტრი
სიმაღლე: 200 სმ
გუნდი: სტუ




**ოთარ ფხაკაძე**
დაიბადა: 28.02.1993
პოზიცია: უკანახაზელი
სიმაღლე: 183 სმ
გუნდი: ვერმონტი (აშშ)



**ნოდარ თენიეშვილი**
დაიბადა: 06.07.1992
პოზიცია: ფორვარდი
სიმაღლე: 198 სმ
გუნდი: შსს აკადემია



**ბექა ბურჯანაძე**
დაიბადა: 03.01.1994
პოზიცია: ფორვარდი
სიმაღლე: 201 სმ
გუნდი: კახასოლი (ესპანეთი)



**ავთანდილ ლომინაშვილი**
დაიბადა: 26.10.1992
პოზიცია: ცენტრი
სიმაღლე: 204 სმ
გუნდი: ქუთაისი



**რევაზ როგავა**
დაიბადა: 01.02.1993
პოზიცია: უკანახაზელი
სიმაღლე: 185 სმ
გუნდი: სოხუმი



**გიორგი ტეტელაშვილი**
დაიბადა: 17.06.1992
პოზიცია: უკანახაზელი
სიმაღლე: 192 სმ
გუნდი: სტუ

მწვრთნელი: დავით უსტიაშვილი, ასისტენტი: არჩილ ქლენტი

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# ჩემპიონი თითქმის ცნობილია

ტურ დე ფრანსი დროზე განცალკევებითი რბოლით გაგრძელდა. მეცხრე ეტაპს ბევრ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი. პირველ რიგში ყველას აინტერესებდა – რამდენად გამართლებულია ამ ტურზე ბრიტანელი **ბრედლი უიგინსის** ამბიციები.

ეს ველომრბოლი ეტაპს ლიდერის ყვითელი მაისურით შეხვდა, თუმცა უპირატესობა ტურის მოქმედ ჩემპიონ **კეიდელ ევანსთან** მხოლოდ 10 წამს შეადგენდა.

წინა ორ სამთო ეტაპზე ევანსმა სცადა უიგინსის პოზიციებზე იერიშის მიტანა, მაგრამ ბრიტანელმა მოიგერია ეს შეტევები, ახლა კი მან მტკივნეული დარტყმა მიაყენა ავსტრალიელ კონკურენტს.

უიგინსმა დროზე განცალკევებით რბოლაში ფანტასტიკური ტემპი აკრიფა. ამაზე მეტყველებს მსგავსი ტიპის რბოლების აღიარებულ ლიდერზე, **ფაბიან კანჩელარაზე** უდიდესი უპირატესობა. ბრედლიმ შვეიცარიელ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს მთელი 57 წამი მოუგო.



ბრედლი უიგინსი

ერთადერთი, ვინც უიგინსს ამ ეტაპზე კონკურენცია გაუწია, "თიმ სქაიში" მისი თანაგუნდელი **კრისტოფერ ფრუმი** იყო, თუმცა ამ უკანასკნელმა უიგინსთან მაინც წააგო 35 წამი. ფრუმმა ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავა და ამან გენერალურ კლასიფიკაციაში მესამე ადგილი მოუტანა.

რაც შეეხება კეიდელ ევანსს, მან ამ ეტაპზე სასტიკი მარცხი იგემა. ავსტრალიელი მხოლოდ მეექვსე მივიდა ფინიშთან და მისი ჩამორჩენა უიგინსთან წუთი და 43 წამი იყო. შესაბამისად, ახლა ის გენერალურ კლასიფიკაციაში ბრიტანელთან წუთსა და 53 წამს აგებს.

რა თქმა უნდა, წინ კიდევ ბევრი სამთო ეტაპია და უიგინსის გამარჯვებულად გამოცხადება ჯერ ნაადრევია, მაგრამ ბრიტანელი ისეთ ფორმაშია, რომ მის ტრიუმფში ეჭვი თითქმის არავის ეპარება. მით უმეტეს, რომ წინ არის კიდევ ერთი დროზე განცალკევებითი რბოლა, რაც ბრედლი უიგინსის შანსებს კიდევ უფრო ზრდის.

### IX ეტაპი

1. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky); 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +0,35; 3. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიცარია, RadioShack-Nissan) - +0,57; 4. **ტიჯეი ვან გარდერენი** (აშშ - BMC Racing Team) - +1,06; 5. **სილვენ შავანელი** (საფრანგეთი - Omega Pharma-Quick Step) - +1,24; 6. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team) - +1,43; 7. **პეტერველიტსი** (სლოვაკეთი - Omega Pharma-Quick Step) - +1,59; 8. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas) - +2,07; 9. **დენის მენშოვი** (რუსეთი – "კატიუშა") - +2,08; 10. **ანდრეას კლიოდენი** (გერმანია - RadioShak-Nissan) - +2,09...

### საერთო ჩათვლა

1. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky); 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team) - +1,53; 3. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +2,07; 4. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas) - +2,23; 5. **დენის მენშოვი** (რუსეთი – "კატიუშა") - +3,02; 6. **აიმარ სუბელდია** (ესპანეთი - RadioShack-Nissan) - +3,19; 7. **მაქსიმ მონფორი** (ბელგია - RadioShack-Nissan) - +4,23; 8. **ტიჯეი ვან გარდერენი** (აშშ - BMC Racing Team) - +5,14; 9. **იურგენ ვან დერ ბრეკი** (ბელგია - Lotto-Belisol) - +5,20; 109. **ნიკოლას როში** (ირლანდია - Ag2r La Mondiale) - +5,29...

ოლიმპიზმი

# ნიუ იორკის მეორე შანსი

გაზეთ „ნიუ იორკ დეილი ნიუსის" ცნობით, ნიუ იორკი 2024 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის იბრძოლებს. თუმცა ამ თამაშების მიღების სურვილი კიდევ ორ ამერიკულ ქალაქს აქვს - ჩიკაგოსა და დალასს.

როგორც გაზეთი წერს, ნიუ იორკი ოლიმპიური რბოლის მთავარი ფავორიტი იქნება. ვარაუდობენ, რომ ქალაქის საგანაცხადო კამპანია 2014 წელს დაიწყება და მას რეკლამირებას გაუწევს ახალი მერი. ქალაქის მეთაურის არჩევნები 2013 წელს უნდა გაიმართოს. ერთ-ერთი კანდიდატია ცნობილი მსახიობი **ალეკ ბოლდუინი.**

ნიუ იორკის მთავარი კოზირია - განვითარებული ინფრასტრუქტურა. ბრუკლინის რაიონში შენდება სუპერთანამედროვე მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსი, რეკონსტრუქცია უტარდება ლეგენდარულ „მედისონ სკვერ გარდენს". ისტ რუზერფორდში მდებარეობს გიგანტური სტადიონი - „მეტლაიფი", რომელსაც შეუძლია მიიღოს ფეხბურთისა და შვიდკაცა რაგბის მატჩები. ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

როგორ უცნაურადაც უნდა ჩანდეს, ნიუ იორკი ოლიმპიადის მასპინძლობისთვის მხოლოდ ერთხელ იბრძოდა. მაშინ მან 2012 წლის თამაშების მიღებისთვის ბრძოლა ლონდონთან წააგო.

მაშინ ამერიკელებს გრანდიოზული გეგმები ჰქონდათ. შეიქმნა საგანაცხადო კომიტეტი, რომელსაც **დანიელ დოქტოროფი** (1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზებით იყო დაკავებული) ხელმძღვანელობდა. განაცხადს უდიდესი ფინანსური მხარდაჭერა ჰქონდა - დოქტოროფმა შეძლო გავლენიანი სპონსორების მოზიდვა და ბიუჯეტი 3.2 მილიარდ დოლარს შეადგენდა. მაგრამ მრავალმილიონიანი ინვესტიციების მიუხედავად, ნიუ იორკი არჩევნებში მეორე წრეში დამარცხდა.

ახლა კი ახალი ბრძოლა იწყება, თუმცა ის ძალიან რთული იქნება, რადგან შთამბეჭდავია იმ ქალაქების სია, რომლებიც, სავარაუდოდ, 2024 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის პრეტენზიას გამოაცხადებენ:

**კასაბლანკა (მაროკო)**
**დურბანი (ს. აფრიკა)**
**ტაიბეი (ტაივანი)**
**კუალა ლუმპური (მალაიზია)**
**დოჰა (კატარი)**
**დუბაი (საამიროები)**
**პარიზი (საფრანგეთი)**
**ბერლინი (გერმანია)**
**კიევი (უკრაინა)**
**ბაქო (აზერბაიჯანი)**
**რომი (იტალია)**
**ტორონტო (კანადა)**
**გვადალახარა (მექსიკა)**
**ჩიკაგო (აშშ)**
**დალასი (აშშ)**
**ბრისბენი (ავსტრალია)**
**მელბურნი (ავსტრალია)**
**სანკტ პეტერბურგი (რუსეთი)**

ამბები

## იმედიანი გერმანია

გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ინფორმაციით, ეს ქვეყანა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე 391 სპორტსმენით იქნება წარმოდგენილი.

*„ახლა, გერმანიის ოლიმპიური გუნდი სრულად არის დაკომპლექტებული, - აღნიშნა ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა* ***ტომას ბახმა.*** *- შესარჩევ ტურნირებში მიღწეული შედეგები ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. ჩვენ ძალიან იმედისმომცემი გუნდი გვყავს".*

## აზერბაიჯანმა პრემიალურები დაადგინა

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა **ილჰამ ალიევმა** ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პრემიალური თანხები იმ სპორტსმენებისთვის, რომლებიც ლონდონის ოლიმპიადაზე მედლებს მოიპოვებენ.

ოქროს მედლის მფლობელი 400 ათას მანათს (314 ათასი დოლარი) მიიღებს, მისი მწვრთნელი - ორჯერ ნაკლებს. მეორე ადგილზე გასულს 157 ათასი დოლარი ერგება (მწვრთნელს - 100 ათასი), ბრინჯაოს პრიზიორს - 78 ათასი დოლარი (მწვრთნელს - 50 ათასი).

აზერბაიჯანი ოლიმპიადაზე 53 სპორტსმენს წარადგენს. შეგახსენებთ, რომ 2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე ამ ქვეყანამ შვიდი მედალი (1-2-4) მოიგო.

## იქნება თუ არა გაფიცვა?

ბრიტანეთის სატრანსპორტო პროფკავშირის - RMT-ის წევრებს, რომლებიც სხვადასხვა სარკინიგზო კომპანიაში მუშაობენ, სპეციალური ბიულეტენები დაურიგდათ. მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ კენჭისყრაში და დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია ოლიმპიადის დღეებში რკინიგზის გაფიცვასთან დაკავშირებით.

RMT-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში პროფკავშირი ადანაშაულებს სარკინიგზო კომპანიებს იმაში, რომ ოლიმპიადის დღეებში ისინი საკუთარ თანამშრომლებს ზედმეტად ამუშავებენ და ამასთან, შესაბამის ანაზღაურებას არ გადაუხდიან.

გაფიცვის შესახებ გადაწყვეტილებას 19 ივლისს დანიშნული კენჭისყრის შემდეგ მიიღებენ.

## ცვლილება საჩოგბურთო ბადეში

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) მხარი დაუჭირა ავსტრიის ჩოგბურთის ფედერაციის აპელაციას, რომელიც 21 წლის **ტამირა პაჩეკს** ეხება. თავდაპირველად, ITF-მა დაადგინა, რომ 36 წლის პაჩეკი ვერ მიიღებდა მონაწილეობას ოლიმპიადაზე, რადგან ფედერაციის თასზე ნაკრების რიგებში მატჩების არასაკმარისი რაოდენობა ჰქონდა ჩატარებული. მაგრამ, მოგვიანებით ავსტრიელებმა წარმოადგინეს დოკუმენტები, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩოგბურთელი მზად იყო ფედერაციის თასზე სათამაშოდ, მაგრამ ის ეროვნულ გუნდში არ გამოიძახეს.

ასე რომ, ოლიმპიური ტურნირის ბადეში ცვლილება მოხდა - ბოლო ორი უიმბლდონის მეოთხედფინალისტი შვეიცარიელ **ტიმეა ბაშჩინსკის** შეცვლის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ჩემპიონთა ლიგა

##### I საკვ. II მატჩები

| | |
|---|---|
| ბ36-ლინფილდი | 0:0 პენ. 3:4 (0:0) |
| ლუსიტანოსი-ვალეტა | 0:1 (0:8) |
| ტრე პენე-დუდელანჟი | 0:4 (0:7) |

#### ევროპის ლიგა

##### I საკვ. II მატჩები

| | |
|---|---|
| ფლორიანა-ელფსბორგი | 0:4 (0:8) |
| გრევენმახერი-ტირანა | 0:0 (0:2) |
| კალიუ-ხაზარი | 2:3 (2:2) |
| პორტდაუნი-შკენდია | 2:1 (0:0) |

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| კეჩმეკეტი-ვენა | 1:0 |
| ვარტა-ჟალგირისი | 1:2 |
| ვისლა-ომონია | 0:1 |
| კრაკოვია-ამკარი | 2:3 |
| პარტიზანი-ლოკომოტივი | 0:2 |
| სტიაუა-აალენი | 2:1 |
| ტერეკი-ჰამბურგი | 2:2 |
| ციურიხი-ვილი | 1:1 |
| ალემანია-კიოლნი | 1:0 |
| აუგსბურგი-სელტიკი | 0:0 |
| გლაუ ვაისი-აინტრაქტი | 2:3 |
| დიჟონი-გფკო აიაჩო | 1:1 |
| ვაასლანდი-ვარეგემი | 0:1 |
| ვოლფსბურგი-სტ. პაული | 1:3 |
| პელეტსი-ორდუ | 2:1 |
| უნტერჰახინგი-ბაიერნი | 0:1 |
| ბორეჰამი-ვესტ ჰემი | 1:1 |
| ალოა-პარტიკი | 1:2 |
| მონროუზი-ფორფარი | 0:3 |
| რეითი-როსი | 1:1 |

#### რუსეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| მეტალურგი-ნეფტიხიმიკი | 3:1 |
| ტორპედო-ბალტიკა | 1:1 |
| სალუტი-სიბირი | 1:2 |

#### უკრაინა

##### სუპერთასი

| | |
|---|---|
| შახტარი-მეტალურგი (დ) | 2:0 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ბასტადი

| | |
|---|---|
| სებალიოსი-**სოუზა** | 4:6, 2:6 |
| ბერერი-**ჯანეზი** | 4:6, 6:3, 6:7 |
| **ჟილი**-ილჰანი | 6:4, 1:6, 6:3 |
| **ვოლანდრი**-რიდერსტედტი | 6:4, 6:2 |
| კუკუშკინი-**ხიმენო ტრავერო** | 4:6, 6:3, 3:6 |
| ბაუტისტა-**მინორი** | 5:7, 6:7 |
| კრონოლოვი-ალვეში | 6:0, 6:3 |

#### ATP. ნიუპორტი

| | |
|---|---|
| ბეკერი-გოფენი | 6:4, 6:3 |
| ბოგომოლოვი-**კუერი** | 5:7, 6:7 |
| სისლინგი-**ნიშიკორი** | 4:6, 4:6 |
| **რაონიჩი**-ებდენი | 3:6, 6:3, 7:5 |
| **ვან დერ მერვე**-მიულერი | 7:6, 6:7, 6:4 |
| **შმიჩეკი**-ისტომინი | 6:3, 6:3 |
| **ისნერი**-ბუბკა | 7:6, 4:6, 6:3 |
| ჟემლია-**რამი** | 3:6, 1:6 |
| მატოშევიჩი-**ლევინე** | 2:6, 6:7 |

#### ATP. შტუტგარტი

| | |
|---|---|
| ჩიპოლა-**კამკე** | 3:6, 4:6 |
| **ფაუ**-ფიშერი | 6:3, 6:3 |
| **ბელუჩი**-კერნი | 7:6, 6:2 |
| **როსოლი**-ჰაასე | 6:4, 7:5 |
| სტახოვსკი-**ჩერვენაკი** | 1:6, 6:4, 1:6 |
| რაისტერი-**შარდი** | 2:6, 4:6 |
| **პერი**-შვანკი | 7:6, 6:4 |
| **ჰაასი**-ანდრეევი | 4:6, 6:2, 6:2 |
| **შტებე**-კუბოტი | 6:2, 0:6, 6:3 |

#### ATP. უმაგი

| | |
|---|---|
| **სტარაჩე**-კლეჩი | 6:3, 7:6 |
| **ტრუნგელიტი**-ლორენცი | 7:5, 6:4 |
| როჟე ვასელენი-**ოდესნიკი** | 7:6, 2:6, 5:7 |
| კ. ბეკი-**ფონინი** | 3:6, 1:6 |
| **კავჩიჩი**-ვეიჩი | 6:2, 6:2 |
| **ბრანდსი**-ტრუსენდი | 6:1, 7:6 |
| **პავიჩი**-ფერერო | 6:2, 6:2 |
| **გულბისი**-ფრაილე | 6:1, 6:3 |
| **ბერლოკი**-დოდიგი | 6:4, 6:0 |

#### WTA. პალერმო

| | |
|---|---|
| **ტატიშვილი**-ევტიმოვა | 6:2, 6:2 |
| **კოენი**-დუშევინა | 6:4, 4:6, 7:5 |
| ბარნეტი-**მეირი** | 3:6, 4:6 |
| **კაბესა**-გრიმალსკა | 6:2, 3:6, 6:1 |
| **რობსონი**-ივახნენკო | 6:1, 6:0 |
| **სუარეს ნავარო**-ჯონსი | 6:4, 6:1 |
| მედინა გარიგესი-**კამერინი** | 1:6, 3:6 |
| **ერანი**-გალოვიტცი | 6:1, 6:1 |
| ამანმურადოვა-**გორგესი** | 4:6, 6:7 |
| კნაპი-**ვინჩი** | 2:6, 2:6 |

#### WTA. სტენფორდი

| | |
|---|---|
| **გიბსი**-ლერტჩეევაკარნი | 6:4, 6:4 |
| **ერაკოვიჩი**-იურიჩოვა | 6:2, 6:2 |
| **სემა**-გლეტჩი | 6:2, 6:3 |

TV პროგრამა

### 11 ივლისი. ოთხშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. პსჟ.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ვერდერი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-მილანი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ლილი.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ატლეტიკო.
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ევერტონი.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. არსენალი.
**23:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**00:00** იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლაციო.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბარსელონა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. სან ანტონიო-მემფისი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. მანჩესტერ იუნაიტედი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-უელსი.
**19:00** NBA Action.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** პოკერ-რინგი 2.
**21:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი. მიქსტი. ფინალი. ლონდონი. ინგლისი.
**00:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. სან ანტონიო-მემფისი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** რაგბი. 6 ერი. შოტლანდია – ინგლისი
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-კატანია.
**19:30** კალათბურთი. ევროლიგა. უნიკახა-პანათინაიკოსი.
**21:30** საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩპოინტი.
**22:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-უელსი.
**00:00** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყაროში.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 31 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 20 | 30 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 19 | 27 | (მზე) |
| ფოთი | 18 | 27 | (მზე) |
| ზუგდიდი | 19 | 29 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 15 | 29 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 18 | 31 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 17 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ქობულეთი | 20 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 11 | 21 | (მზე) |
| ბორჯომი | 14 | 29 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 12 | 23 | (მცირე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0311 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6489 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5627 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0004 |

# სილვესტოუნის გმირები და ანტიგმირები

ბრიტანეთის გრანპრიმ სავსებით მოსალოდნელი შედეგები მოიტანა. თუნდაც იმიტომ, რომ პოდიუმზე ავიდნენ ის პილოტები, რომლებიც ასევე სამეულში იყვნენ საკვალიფიკაციო რბოლაში. და რომ არა ბოლოს მარკ უებერის გადამწყვეტი გასწრება, შაბათის სამეული მიმდევრობის მხრივაც უცვლელი იქნებოდა.

მაღალი პოტენციალი გამოაჩინა „ლოტუსმა“, რაზეც ორი უსწრაფესი წრე მეტყველებს, მაგრამ ამ პოტენციალის ბოლომდე გამოყენებას ფრანგული საჯინიბო ვერ ახერხებს. **რაიკონენმა** სუსტად ჩაატარა რბოლის პირველი ნაწილი და დიდი დრო დაკარგა ნელი **მიხაელ შუმახერის** უკან, **გროსჟანი** კი დაბალმა სასტარტო პოზიციამ (რაც კვალიფიკაციაში დაშვებული შეცდომის შედეგი იყო) და **პოლ დი რესტას** ბოლიდთან კონტაქტმა დაალალატა.

### გმირები

მარკ უებერი აღარ ხუმრობს. ავსტრალიელი სეზონის პირველ ოთხ რბოლაში მეოთხე ადგილით კმაყოფილდებოდა, მაგრამ ევროპის გრანპრის შემდეგ აღმოაჩინა, რომ გენერალურ კლასიფიკაციაში მეორეა და მის წინ მხოლოდ **ფერნანდო ალონსო** დგას. როცა ესპანელთან უშუალოდ რბოლის დროს ბრძოლის შანსი გაუჩნდა, მან ეს შესაძლებლობა მაშინვე გამოიყენა და გამარჯვებისკენ იშვიათი სწრაფვა გამოავლინა, რაც მისგან კარგა ხანია არ გვინახავს.

ახლა, საერთო ჩათვლის ცხრილი 2010 წელს მოგვაგონებს, მაგრამ მაშინ მარკს მოთმინება არ ეყო. ორი წლის წინ, „რედ ბულს“ ორივე პილოტი მიჰყავდა ტიტულისკენ. საინტერესოა, როგორ მოიქცევიან ამჯერად?



ალონსო ჩემპიონატის ფავორიტია

**ფელიპე მასამ** მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც მისი საუკეთესო მაჩვენებელია ბოლო 30 (!) გრანპრის განმავლობაში. ბრაზილიელმა პილოტმა კარგი რბოლა ჩაატარა და დავრწმუნდით, რომ მისი თავდაცვისა და შეტევის უნარი არსად გამქრალა. როგორც ჩანს, მასას ის ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს, რომელიც ალონსოს გვერდით გამოსვლისას წარმოიქმნება. ჯერჯერობით ფელიპეს ზედიზედ ორი კარგი რბოლა არ ჰქონია, ასე რომ, გერმანული ეტაპი ამ მხრივ, ბრაზილიელისთვის მნიშვნელოვანი იქნება. ცუდი ის არის, რომ „ფერარის“ თითქმის ყველა რესურსი ალონსოს მხარდასაჭერად არის მიმართული, რომელთან მიმართებაში უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ ის ტიტულის მთავარი პრეტენდენტია.

### ანტიგმირები

„მაკლარენს“ ყველა შანსი აქვს იმისთვის, რომ ჩემპიონატის მთავარი იმედგაცრუება გახდეს. თუ ვალენსიაში **ლუის ჰემილტონი** სწრაფი იყო, სილვერსტოუნში ყველაფერი გაცილებით სავალალოდ ჩანდა. ვერც **ჯენსონ ბატონი** დაიკვეხნის ბევრით. მაგრამ ამ შემთხვევაში იმ აზრამდე მივდივართ, რომ ბოლო წარუმატებლობაში პილოტები ყველაზე ნაკლებად არიან დამნაშავენი. „მაკლარენი“ განთქმული იყო სეზონის მსვლელობის დროს ბოლიდის გაუმჯობესებით, მაგრამ ამჯერად, ყველაზე დიდ პროგრესს „ფერარიმ“ მიაღწია, ბრიტანელები კი, როგორც ჩანს, განვითარების ძველ დონეზე დარჩნენ. ყველაზე გაუგებარი ის არის, რომ ტექნიკური განახლებები, რომელიც მათ საშინაო გრანპრისთვის მოამზადეს, არაეფექტური აღმოჩნდა და ახლა, წინ წასული კონკურენტების დაწევა ძალიან რთული იქნება.

**პასტორ მალდონადომ** ზედიზედ მეორე რბოლაში მიიპყრო სტიუარდების ყურადღება. ამჯერად, ისინი ფულადი ჯარიმით შემოიფარგლნენ, თუმცა ვენესუელელის მანევრი **პერესის** წინააღმდეგ იმაზე „კრიმინალური“ ჩანდა, ვიდრე ვალენსიაში ჰემილტონთან შეჯახება იყო. შესაბამისად, პერესის აღშფოთება გასაგებია.

რაც შეეხება მექსიკელის თანაგუნდელ **კამუი კობაიაშის**, მან პიტსტოპზე შესვლისას გაუმართლებელი შეცდომა დაუშვა და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევითობით გადაურჩნენ მექანიკოსები სერიოზულ ტრავმებს.

■ ■ ■

დაბოლოს, დიდი ხანი არაფერი გვითქვამს იმის შესახებ, როგორ აფასებენ ბუკმეიკერები ჩემპიონატში შექმნილ სიტუაციას. პროცენტული გამოსახულებით პილოტთა შანსები ტიტულზე ასე გამოიყურება: ფერნანდო ალონსო - 34.4%, **სებასტიან ფეტელი** - 27.7%, ლუის ჰემილტონი - 16.4%, მარკ უებერი - 12.9%, კიმი რაიკონენი - 3.5%, ჯენსონ ბატონი, **ნიკო როსბერგი**, რომენ გროსჟანი - 1.7%.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონტურები გამოიკვეთა

გასულ უქმეებზე აშშ-ის გრანპრის ორგანიზატორები სილვერსტოუნს სტუმრობდნენ. მათი მიზანი ბრიტანელი კოლეგების გამოცდილების გაზიარება იყო. ვიზიტის დროს, ოსტინის ტრასის დირექტორმა **სტივ სექსტონმა** სააგენტო „როიტერს“ სამშენებლო სამუშაოებისა და სადებიუტო რბოლისთვის მომზადების შესახებ უამბო.

„ყოველდღიურად უდიდეს სამუშაოს ვატარებთ. იმისთვის, რომ ყველაფერი ვადებში ჩაჯდეს, ვცდილობთ გრაფიკს არ ჩამოვრჩეთ, რასაც ვახერხებთ კიდეც. ორი კვირის წინ ტრასას ინსპექცია ჩაუტარა FIA-ის ტექნიკურმა დელეგატმა ჩარლი უაიტინგმა. ის კმაყოფილი დარჩა და განაცხადა, რომ ყველაფერს შესანიშნავად ვუმკლავდებით“, - ამბობს სექსტონი.

ამჟამად მონტაჟდება სადრენაჟო სისტემა, იგება გზები და შენდება ტრასის დამცავი ბარიერები. შემდეგ კვირას დაიგება ასფალტის პირველი ფენა, აგვისტოში კი დაიწყებენ დროებითი ტრიბუნების მონტაჟს.

ივნისის დასაწყისში დაიწყო აშშ-ის გრანპრიზე დასასწრები ბილეთების რეალიზაცია და სექსტონის სიტყვებით, უკვე გაყიდულია რამდენიმე ათასი ბილეთი. მათი უმეტესი ნაწილი შტატის საზღვრებს გარეთ გაიყიდა, ასე რომ, რბოლა შესანიშნავად ასრულებს თავის მისიას ტეხასში ტურისტების მოზიდვის მხრივ.

დროდადრო, გრანპრის ორგანიზატორები **ბერნი ექლსტოუნს** ხვდებიან სამუშაოების მსვლელობის განსახილველად.

ავტოდრომის დირექცია არ აწარმოებს მოლაპარაკებებს NASCAR-ის ჩემპიონატის ორგანიზატორებთან, მაგრამ განიხილავს ინდიკარის ან სხვა სარბოლო სერიების ეტაპების მასპინძლობის იდეას.

ასევე ტრასის მეპატრონეები ვარაუდობენ, რომ ავტოდრომის ტერიტორიაზე ჩატარდება სხვადასხვა მუსიკალური ფესტივალი და ამ მიმართულებით უკვე ნაპოვნია ახალი საქმიანი პარტნიორი.

# უებერი: კიდევ ერთი წელი რედ ბულში

**მარკ უებერი** 2013 წელსაც გააგრძელებს გამოსვლას „რედ ბულში“. გუშინ, ავსტრიულმა საჯინიბომ დაადასტურა კონტრაქტის გაგრძელება ავსტრალიელთან, რითაც წერტილი დაუსვა „ფერარიში“ მის სავარაუდო ტრანსფერზე ჭორებს.

*„რედ ბულში“ 2007 წლიდან გამოვდივარ და აქედან მოყოლებული, ცხრა გამარჯვება მოვიპოვე. დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში და შესანიშნავ ფორმაში ვიმყოფები. კარგად ვიცნობ ამ გუნდს, აქ კომფორტულად ვგრძნობ თავს: წლების განმავლობაში ერთად ვიზრდებოდით და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ყველაზე სწორი გადაწყვეტილება კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივებაა.*

*გუნდი დაუღალავად მუშაობს, რათა ყველა მიმართულებით მიაღწიოს წარმატებას და ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია რბოლების მოგება. ძალიან კარგია, რომ ეს განცხადება სილვერსტოუნში მოგების შემდეგ გაკეთდა. მზად ვარ გავაგრძელო ბრძოლა ყოველ რბოლაში და შემდეგ სეზონშიც*“, - განაცხადა მარკ უებერმა.

# ლუისი და ოლიმპიური ჩირაღდანი

დასასრულს უახლოვდება ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდნის ესტაფეტა. ესტაფეტის დასკვნით ნაწილში 133 ბრიტანელი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. მათგან პირველი აღმოჩნდა ფორმულა 1-ის პილოტი, "მაკლარენის" წევრი **ლუის ჰემილტონი**.

ბრიტანელმა ავტომრბოლმა ქალაქ ლუტონში, სენტ ჯორჯის მოედნიდან აიღო სტარტი, რამდენიმე ასეული მეტრი გაირბინა და ჩირაღდანი ესტაფეტის შემდეგ მონაწილეს გადასცა.

*"აქ ძალიან თბილად მიმიღეს, რამაც ჩემი მისია კიდევ უფრო სასიამოვნო გახადა. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში მონაწილეობა ეს უნიკალური შესაძლებლობაა, რადგან ასეთ შანსს ყველას არ აძლევენ. ღმერთს ყოველდღე მადლობა უნდა გადავუხადო წარმატებისთვის და იმ შესაძლებლობებისთვის, რომელსაც ის მიგ ზავნის. ჩემს კარიერაში უკვე ბევრს მივაღწიე, ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში მონაწილეობის შანსი – კიდევ ერთი ბრწყინვალე მიღწევაა*", - აღფრთოვანებას ვერ მალავდა ჰემილტონი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

| | ავს | მალ | ჩინ | ბაჰ | ესპ | მონ | კან | ევრ | ბრიტ | გერ 22.07 | უნგ 29.07 | ბელ 02.09 | იტა 09.09 | სინ 23.09 | იაპ 07.10 | კორ 14.10 | ინდ 28.10 | ა-დაბ 04.11 | აშშ 18.11 | ბრა 25.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ალონსო** (ფერარი) | 10 | 25 | 2 | 6 | 18 | 15 | 10 | 25 | 18 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 129 |
| **უებერი** (რედ ბული) | 12 | 12 | 12 | 12 | -- | 25 | 6 | 12 | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 116 |
| **ფეტელი** (რედ ბული) | 18 | -- | 10 | 25 | 8 | 12 | 12 | -- | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 100 |
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 15 | 15 | 15 | 4 | 4 | 10 | 25 | -- | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 92 |
| **რაიკონენი** (ლოტუსი) | 6 | 10 | -- | 18 | 15 | 2 | 4 | 18 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 83 |
| **როსბერგი** (მერსედესი) | -- | -- | 25 | 10 | 6 | 18 | 8 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 75 |
| **გროსჟანი** (ლოტუსი) | -- | -- | 8 | 15 | 12 | -- | 18 | -- | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 61 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 25 | -- | 18 | -- | 2 | -- | -- | 4 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 50 |
| **პერესი** (ზაუბერი) | 4 | 18 | -- | -- | -- | -- | 15 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 39 |
| **მალდონადო** (უილიამსი) | -- | -- | 4 | -- | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 29 |
| **დი რესტა** (ფორს ინდია) | 1 | 6 | -- | 8 | -- | 6 | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 27 |
| **მ. შუმახერი** (მერსედესი) | -- | 1 | -- | 1 | -- | -- | -- | 15 | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 23 |
| **მასა** (ფერარი) | -- | -- | -- | 2 | -- | 8 | 1 | -- | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 23 |
| **კობაიაში** (ზაუბერი) | 8 | -- | 1 | -- | 10 | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 21 |
| **სენა** (უილიამსი) | -- | 8 | 6 | -- | -- | 1 | -- | 1 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 18 |
| **ჰიულკენბერგი** (ფ-ინდია) | -- | 2 | -- | -- | 1 | 4 | -- | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 17 |
| **ვერნი** (ტორო როსო) | -- | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 |
| **რიკარდო** (ტორო როსო) | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 |

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge*
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608